ხობის მოამბე

№8 (7123) 15 სექტემბარი,
სამშაბათი, 2020 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

საქართველოს პრეზიდენტის 31 აგვისტოს განკარგულებით საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები 2020 წლის 31 ოქტომბერს დაინიშნა

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

N 31/08/01 2020 წლის 31 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტის არჩევნების
დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 108-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები დაინიშნოს 2020 წლის 31 ოქტომბერს.

სალომე ზურაბიშვილი

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

მოსწავლეებო, მასწავლებლებო, სტუდენტებო, მშობლებო, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებო!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! განსაკუთრებით ვულოცავ პირველკლასელებს და იმ ახალგაზრდებს, რომლებიც პირველად შეაღებენ უმაღლესი სასწავლებლის კარებს. იყავით ყოჩაღები და მონდომებულები. გჯეროდეთ, დაუღალავი შრომით ძალიან ბევრს მიაღწევთ.

თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტი ხომ მოაზროვნე, განათლებული და მოტივირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნაა.

გისურვებთ, თითოეულ თქვენგანს წარმატებული, სიახლით სავსე, საინტერესო და შთამბეჭდავი წელი გქონოდეთ.

ირაკლი (დაჩი) ბერაია,
საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი.

ირაკლი ხახუბია

ხობელ სოფლისა და ნარმოებელის!

ირაკლი ხახუბია–„ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“ ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარობის კანდიდატი

დაიბადა 1971 წლის 15 მაისს ქალაქ ფოთში. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სპეციალობით–ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა, აგრეთვე თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა-ინსტიტუტი, სპეციალობით–საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.

1988-1989 წლებში მუშაობდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საწარმოო უბნის ზეინკლის მოწაფედ, ზეინკლად.

1994-1995 წლებში იყო შპს „ბესსის“ მარკეტინგული განყოფილების გამგე შემდგომ წლებში იყო ს/ს „ფოთინავთობპროდუქტის“ დირექტორი კომერციულ დარგში.

2000 წლიდან სამსახურებრივი კარიერა გააგრძელა საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სამართალდარღვევების წინააღმდეგ მებრძოლ სამმართველოში. შემდგომში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისრტოს საგადასახადო დეპარტამენტსა და ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტში.

2010 წელს დააფუძნა შპს „აისბერგი“, 2012 წელს კი–„ჯეონათსი“.

2016 წელს „ქართული ოცნების“ წარდგენით, ფოთის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულიქნა IX მოწვევის პარლამენტის წევრად. არის საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება-ძლიერი ეკონომიკის“ თავმჯდომარის მოადგილე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტისა და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

* * *

იყო ხალხის წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, უდიდესი პატივი და ამასთანავე პასუხისმგებლობაა. ვფიქრობ, დეპუტატის მანდატი არის კარგი შესაძლებლობა, ვაკეთოთ უფრო მეტი საქმე მოქალაქეებისთვის. მაჟორიტარი დეპუტატის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მოქალაქეებისთვის საჭირო პროექტების ლობირება, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად ვიქნები ინიციატორი და განხორციელების პროცესში აქტიურად ჩართული ყველა იმ პროექტსა და პროგრამაში, რაც ჩემი სამაჟორიტარო ოლქის–ფოთის, ხობისა და სენაკის მაცხოვრებლების კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული.

შეძენილი გამოცდილება და 4 წლის განმავლობაში ჩემს სამაჟორიტარო ოლქში–ფოთში განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროექტების სიმრავლე მაძლევს მყარ საფუძველს, **გავხდე ფოთელების, ხობელებისა და სენაკელების ხმა საქართველოს პარლამენტში.**

შემიძლია შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაცია იმ სახელმწიფო უწყებებთან და კერძო სექტორთან, საიდანაც მოქალაქეებს შეუძლიათ კონკრეტული სარგებლის მიღება.

დარწმუნებული ვარ, გუნდთან ერთად განვახორციელებ პროექტებს, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს და მოქალაქეების წინსვლასა და წარმატებას უზრუნველყოფს. ჩვენი გუნდი, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ეროვნულ ინტერესებსა და ევროპული დემოკრატიის იდეალებზე დაფუძნებით ქართული სახელმწიფოს განვითარების ახალ ეტაპს იწყებს. დეპუტატობის მანდატი მომცემს შესაძლებლობას, ხელი შევუწყო ჩვენი რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების გაძლიერებას საქართველოს წარმატებისთვის!

ირაკლი ხახუბია.

ოფიციალური გვერდი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №27

2020 წლის 4 სექტემბერი ქ. ხობი

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილების, 58-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 31 აგვისტოს 31/08/01 განკარგულების, შესაბამისად:

1. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის შესაბამის საარჩევნო კომისიებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცეთ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

ა) ქ. ხობში–1 ბაგა-ბაღის და მოსწავლეახალგაზრდობის სახლის შენობები;

ბ) ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში–2 საბავშვო ბაღის შენობა;

გ) პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

დ) საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში–კულტურის სახლის შენობა;

ე) საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში–სოფელ გაღმა საჯიჯაოს ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა;

ვ) ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში–სასოფლო კლუბის შენობა;

ზ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში–ბიბლიოთეკის შენობა;

თ) ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში–სასოფლო კლუბის შენობა;

ი) პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში–საბავშვო ბაღის შენობა;

კ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში–საბავშვო ბაღის შენობა.

ლ) ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში-საბავშვო ბაღის შენობა

2. საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

ა) ქ. ხობში–ხობის კულტურის სახლის შენობა;

ბ) ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში–სოფელ ზუბის კლუბის შენობა;

გ) ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

დ) ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ე) თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ვ) ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში–ქვემო ქვალონის კულტურის სახლი;

ზ) შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

თ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ი) ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

კ) საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ლ) ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №31

2017 წლის 30 აგვისტო ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო პერიოდში სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და სააგიტაციო მასალის (პლაკატები, ლოზუნგები და სხვა) შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთის მიზნით, ქ. ხობის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო მასალა განთავსდეს სპეციალურად მოწყობილ სტენდებზე:

ა) 66.01 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე: ცოტნე დადიანის ქუჩაზე–საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასთან და დავით აღმაშენებლის ქუჩაზე–კოსტავას ქუჩის გადაკვეთასთან;

ბ) 66.02 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე: ცოტნე დადიანის ქუჩაზე–რესტორან „ღიმილთან“ და ცოტნე დადიანის ქუჩაზე–გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთასთან;

გ) 66.03 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე: ჭყონდიდელის ქუჩის დასაწყისში–9 აპრილის ხეივანთან და ჭყონდიდელისა და 26 მაისის ქუჩების გადაკვეთაზე;

დ) 66.28 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე: ცოტნე დადიანის ქუჩაზე–კოლხეთის დასახლების შესახვევთან და სტალინის ქუჩაზე–რუსთაველის ქუჩის გადაკვეთასთან.

მუხლი 2.

ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება მიეცეს გააკრას არაუმეტეს 3 (სამი) ცალი საარჩევნო პლაკატისა, ზომით: სიგრძე: არაუმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).

მუხლი 3.

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო მასალის განსათავსებლად გამოყენებულ იქნეს იქ მდებარე გარე განათების ბოძები, მგზავრთა მოსაცდელები და ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.

მუხლი 4.

აიკრძალოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო მასალის განთავსება ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს და პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

მუხლი 5.

საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო მასალის განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

მუხლი 6.

დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №12

ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლის 1.

დამტკიცდეს თანდართული ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების შემოღებისა და მინიჭების წესი.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

დანართი

ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების შემოღებისა და მინიჭების წესი

მუხლი 1.

ეს წესი ადგენს ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებას, მისი მინიჭების საფუძვლებს, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს.

მუხლი 2.

ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებად დგინდება ხობის საპატიო მოქალაქის წოდება.

მუხლი 3.

1. ხობის საპატიო მოქალაქის წოდება შეიძლება მიენიჭოს სრულწლოვან პირს, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

2. საქართველოს მოქალაქეს ხობის საპატიო მოქალაქის წოდება შეიძლება მიენიჭოს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის ან საქართველოს წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლის ან/და დამსახურებისთვის;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის ან საქართველოს განვითარების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის;

გ) ხობის მუნიციპალიტეტისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო პოპულარიზაციისთვის;

დ) განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის, ხელოვნების და ასევე სხვა მიმართულებით განსაკუთრებული მიღწევებისთვის;

ე) ხობის მუნიციპალიტეტისა და მისი მოსახლეობისთვის უანგარო ზრუნვისა და ერთგული სამსახურისთვის, აქტიური და სამაგალითო საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების განვითარებისთვის, შესაბამის პროფესიულ სფეროში (დარგში) ხანგრძლივი, კეთილსინდისიერი ან წარმატებული საქმიანობისთვის, ან/და მაღალი პროფესიული ოსტატობისთვის, რაც საზოგადოების მხრიდან იმსახურებს აღიარებას და მადლობის გამოცხადებას.

3. უცხო ქვეყნის მოქალაქეს ხობის საპატიო მოქალაქის წოდება შეიძლება მიენიჭოს განსაკუთრებული დამსახურებისთვის საქართველოსა და ხობის მუნიციპალიტეტის წინაშე, ან ხობის მუნიციპალიტეტთან მეგობრული კავშირების განმტკიცებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, ასევე–ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლის გათვალისწინებით.

მუხლი 4.

1. ხობის საპატიო მოქალაქის წოდებას ანიჭებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

2. ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე შუამდგომლობა წარედგინება ხობის მუნიციპალიტეტის მერს, წერილობით (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).

3. ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე მოტივირებული შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის მერს;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის 1/3-ს;

დ) ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს;

ე) ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მქონე 5 პიროვნებას;

ვ) საზოგადოებრივ, პროფესიულ, შემოქმედებით კავშირებსა და ორგანიზაციებს;

ზ) საინიციატივო ჯგუფს ან ფიზიკურ პირს, რომლის შუამდგომლობას მხარს უჭერს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული არანაკლებ 50 სრულწლოვანი საქართველოს მოქალაქე.

4. შუამდგომლობა უნდა იყოს სათანადოდ მოტივირებული და თან უნდა დაერთოს:

ა) ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მისანიჭებლად კანდიდატურის წარმდგენი უფლებამოსილი ორგანიზაციის ან პირების რეკომენდაცია წარდგენილი კანდიდატის ღვაწლისა და დამსახურების აღნიშვნით;

ბ) კანდიდატის ბიოგრაფიული მონაცემები;

გ) კანდიდატის ღირსების, ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი, საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი ან საპატიო წოდებაზე წარდგენის დღემდე უცნობი დოკუმენტური და სხვა სახის მასალები;

დ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) კანდიდატის ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4;

ვ) კანდიდატის წერილობითი თანხმობა ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე.

5. შუამდგომლობას წინასწარ განიხილავს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური, ან სპეციალურად ამ მიზნისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია და 10 სამუშაო დღის ვადაში მერს წარუდგენს დასკვნას ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებაზე წარდგენილი კანდიდატისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერი 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს ამ მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ შუამდგომლობას და რეკომენდაციას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რაც ფორმდება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტები მოითხოვება ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის დადებითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში, საკითხის მერის მიერ განხილვის ეტაპზე და წარმოდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ კანდიდატის თანხმობით.

მუხლი 5.

1. ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებისას პირს გადაეცემა შესაბამისი მოწმობა და სიმბოლური საჩუქარი.

2. ხობის საპატიო მოქალაქისთვის მოწმობისა და სიმბოლური საჩუქრის გადაცემა ხდება საზეიმო ვითარებაში, სპეციალურად ამ მიზნისთვის მოწყობილ ღონისძიებაზე, ან სხვა სახის სადღესასწაულო ან/და კულტურის სფეროს ღონისძიებაზე, წლის ნებისმიერ დროს.

მუხლი 6.

ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ ჩანაწერები კეთდება სპეციალურ წიგნში, რომლის აღრიცხვას აწარმოებს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა.

გილოცავთ!

მოსწავლეებო, სტუდენტებო, მასწავლებლებო გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! გამორჩეულად ვულოცავ პირველკლასელებსა და პირველკურსელებს–მათთვის ხომ დღევანდელი დღე სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია.

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა პედაგოგებს, რომლებმაც პანდემიის პერიოდში განათლების სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები დაძლიეს და ახალ გამოწვევებს წარმატებით გაართვეს თავი.

სწორედ, სკოლაში მიღებული ცოდნა და განათლებაა მყარი საფუძველი და გარანტი საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღისა. თაობების სწავლა–განათლების საქმეში განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა მასწავლებლებს აკისრიათ. აღზარდო ქვეყნის მომავალი თაობა–მეტად საპატიო საქმეა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ წარმატებულ და ნაყოფიერ საქმიანობას ქვეყნის საკეთილდღეოდ!

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

ძვირფასო მოსწავლეებო, სტუდენტებო, პედაგოგებო, მშობლებო! გილოცავთ, ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

დაე, ეს წელი თითოეული თქვენთაგანისთვის ყოფილიყოს ნაყოფიერი და წარმატებებით გამორჩეული. განსაკუთრებით გილოცავთ პირველკლასელებს, რომლებმაც პირველად შეაბიჯეთ სკოლაში და ეს დღე ყოველთვის სასიამოვნოდ გემახსოვრებათ... ასევე პირველკურსელებს, რომლებიც ახალ ფურცელს შლით ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე. წარმატებები, იღბალი და ცოდნის შეძენის დაუოკებელი სურვილი ყოფილიყოს თქვენი მეგზური ამ ახალ და საინტერესო გზაზე, თქვენი მიღწევებით ახარებდეთ მშობლებს და ქვეყანას...

პედაგოგებს, რომელთაც უდიდესი პასუხისმგებლობა გაკისრიათ ქვეყნის წინაშე, რამეთუ მხოლოდ განათლებული თაობა ქმნის ძლიერ სახელმწიფოს, გისურვებთ მნიშვნელოვან მიღწევებს პროფესიულ საქმიანობაში...

მოსწავლე-ახალგაზრდობა–ეს თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი და იმედი... გისურვებთ მხნეობას, დღევანდელი ამაღლებული განწობა გაგყოლოდეთ მთელი წლის მანძილზე სირთულეებისა და გამოწვევების დასაძლევად!

ედიშერი ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

დეპუტატობის კანდიდატის შეხვედრები მოსახლეობასთან

პირველკურსელებთან...

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრები დაჩი ბერაია და ირაკლი ხახუბია ხობელ პირველკურსელებს შეხვდნენ.

ხობის ცენტრალურ პარკში გამართულ შეხვედრაზე დეპუტატებმა ახალგაზრდებს მიულოცეს ცხოვრების ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპის დაწყება და უსურვეს წარმატებები.

საქართველოს პარლამენტში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფოთის, ხობის და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **ირაკლი ხახუბია,** პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი **ირაკლი (დაჩი) ბერაია**, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ძველი ხიბულის, ახალი ხიბულის, საჯიჯაოს, ბიისა, ქ.ხობის, პატარა ფოთის, ჭალადიდის, ქარიატისა და ყულევის მოსახლეობას შეხვდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს გასულ წლებში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე.

პატარა ფოთსა და ჭალადიდში მოწყობილ შიდა საგზაო ინფრასტრუქტურაზე, ყულევსა და ქარიატაში განხორციელებული წყალსადენი სისტემის ქსელის მშენებლობაზე, ქარიატაში მდინარე ხობისწყლის ნაპირსამაგრ სამუშაოებზე.

გარდა განხორციელებული და მიმდინარე პროექტებისა, ისაუბრეს არსებულ გამოწვევებზე.

ითქვა, რომ სოფლებისთვის პრიორიტეტულია გაზიფიცირების, ინტერნეტიზაციის, წყალმომარაგების, საგზაო ინფრასტრუქტურის საკითხების მოგვარება.

დეპუტატობის კანდიდატის თქმით მოსახლეობის მიერ დასმული საკითხები მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენის დროს მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული და ეტაპობრივად, პრიორიტეტების შესაბამისად გადაიჭრება.

ხელისუფლების თანადგომითა და მხარდაჭერით

ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წელი ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში 1 ოქტომბერს დაიწყება.

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში“ შემავალი 25 სტრუქტურული ერთეული ახალი 2020-2021 სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყებად ემზადება. ჩარიცხულია 1064 აღსაზრდელი, დაკომპლექტებულია 56 ასაკობრივი ჯგუფი. ყველა ბავშვი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია და აქვს შესაბამისი ასაკი, მიღებულია საბავშვო ბაღში.

სკოლამდელ განათლებას პრიორიტეტულ სფეროდ მიიჩნევს ადგილობრივი მთავრობა. მათი მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით რამდენიმე პროექტი განხორციელდა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თვალსაზრისით.

ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლიდან გარემონტებულ საბავშვო ბაღში დაიწყებენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს თორსის, პატარა ფოთის, გურიფულის საბავშვო ბაღებში. პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა.

შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში 60 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მოწყობა მიმდინარეობს, რომლის გახსნა 1 ოქტომბრისთვის იგეგმება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სარემონტო სამუშაოების მეორე ეტაპი მიმდინარეობს ნაწილობრივ გარემონტებულ ხამისკურის, ნოჯიხევის N2, ბიის, ახალსოფლის საბავშვო ბაღებში. რემონტდება ახალი ხიბულის, ზუბის, ქვემო ქვალონის, პირველი მაისის, ქ.ხობის N1 და N2 საბავშვო ბაღები.

ამ სამუშაოების ჩატარებით საბავშვო ბაღებში მოწესრიგდება ჯგუფის ოთახები, საძინებლები, დერეფნები, სველი წერტილები, სამზარეულოები, პროდუქტების შესანახი ოთახები, კეთილმოწყობა ეზოები.

ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, 60 აღსაზრდელზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებული საბავშვო ბაღი საზეიმოდ გაიხსნება.

გაერთიანება მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე.

დაგეგმილია გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების კვების ბლოკის თანამშრომლებისთვის ტრენინგი, რომელიც მათ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნილი სერტიფიკატის ვადას განუახლებს, აღმზრდელ-მასწავლებლებთან კი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ტრენინგ-სემინარების ჩატარებაა დაგეგმილი.

ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის, სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების მიერ ბაღებისთვის ხდება შესყიდვა ქსოვილის ნივთების, ავეჯის აქსესუარების, სამეურნეო და საკანცელარიო საქონლის.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებით დაიდო ზოგადი რეკომენდაციები.

სააღმზრდელო გაერთიანებამ შეიმუშავა პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა.

საბავშვო ბაღებში განსახორციელებელი რეკომენდაციების შესაბამისად გადავამზადეთ მთავარი სპეციალისტები, რომლებიც ამ ღონისძიებებს გააცნობენ თანამშრომლებს, რათა მათ შემდგომში შეძლონ უსაფრთხო მუშაობის პროცედურებისა და ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ წესების დაცვა თავიანთ სამუშაო ადგილებზე. პანდემიის სპეციფიკიდან გამომდინარე, საბავშვო ბაღები და თანამშრომლები აღჭურვილიქნება რეკომენდაციებით განსაზღვრული ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება საბავშვო ბაღებში სხვა შესაბამის სამსახურებთან ერთად მონიტორინგს განახორციელებს დადგენილი წესების შესრულებაზე.

ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იდეები გვაქვს. ვიმედოვნებთ, რომ მომდევნო წელი უფრო ნაყოფიერი იქნება გაერთიანებისთვის, საბავშვო ბაღების წინაშე მდგარი პრობლემები ადგილობრივი თვითმმართველობის სრული მხარდაჭერითა და თანადგომით კვლავ წარმატებულად იქნება დაძლეული.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წელი მივულოცო თითოეულ აღსაზრდელს, მშობელს, საბავშვო ბაღის თანამშრომელს და ვუსურვო უსაფრთხო, ნაყოფიერი და წარმატებული წელი.

ეკა ხასია,
ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი.

სასწავლო წელი პანდემიის პირობების გათვალისწინებით დაიწყება

სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლა ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის სრულ მზადყოფნაშია.

პირველი და უმთავრესი საზრუნავი მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვაა. კორონავირუსის პრევენციის მიზნით განათლების სამინისტროსგან სკოლა აღიჭურვა პირბადეებით, დისტანციური, უკონტაქტო თერმომეტრებით, დეზობარიერებით, დეზობარიერებისა და ზედაპირების სადეზინფექციო სითხეებით.

მერამდენე წელია სამინისტრო ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეს სასკოლო სახელმძღვანელოებს უფასოდ გადასცემს.

ასევე უფასოდ გადაეცემა ჩვენი სკოლის ყველა პირველკლასელს ბუკები.

უფასოა ყველა იმ მოსწავლის ტრანსპორტირებაც, რომელთა საცხოვრებელი ადგილები სკოლიდან ორი და მეტი კილომეტრითაა დაშორებული.

ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ სკოლას ცენტრალიზებულად მიეწოდება სასმელი წყალი, შენობის პირველ სართულზე კი კეთილმოწყო საპირფარეშოები.

სიახლეა ის, რომ პანდემიის გამო და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლაში დაირეკება მხოლოდ 9 საათზე გაკვეთილების დაწყების მაუწყებელი ზარი და დღის ბოლოს გაკვეთილების დასრულების მაუწყებელი ზარი. თითოეულ დერეფანში 15-წუთიანი ინტერვალით რიგრიგობით მოუწევთ დასვენება სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს, რაც გათვლილია სკოლის საგაკვეთილო ცხრილით.

ჩვენი სკოლისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება მოსწავლეებისთვის სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნა, რომელსაც წარმატებული პედაგოგები უზრუნველყოფენ:

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების სტატუსების მიხედვით პირველი მაისის საჯარო სკოლა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოწინავეთა შორისაა. 23 მასწავლებელს შორის 1 მენტორია, 7–წამყვანი, 13–უფროსი, 2–პრაქტიკოსი.

შარშანდელი სასწავლო წელი ერთგვარი გამოწვევა იყო ჩვენი პედაგოგიური კოლექტივისთვის. პანდემიის პირობებში ონლაინ სწავლების მოულოდნელმა დამკვიდრებამ მთელი საქართველოს სასკოლო საზოგადოება ერთგვარ შოკში ჩააგდო - განსაკუთრებით, პირველ ეტაპზე. მიუხედავად ამისა, ჩვენი სკოლის პედაგოგების მცირე ნაწილს სწორი რეაგირება ჰქონდა მომხდარზე. ამ ადამიანებს სხვა პედაგოგებმაც აუბეს მხარი და თანდათან მთელი პედკოლექტივი ჩაება ახალი ფორმით სწავლების კეთილ და საინტერესო საქმეში. აღნიშვნის ღირსია ცალკეული კლასების მოსწავლეთა მშობლები, რომლებმაც მაქსიმალურად შეუწყვეს ხელი შვილების ინტერნეტით უზრუნველყოფასა და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას.

ონლაინ სწავლებამ დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში. მშობლებს, ოჯახის წევრებს საშუალება მიეცათ რეალურად, ყოველდღიურ რეჟიმში ენახათ მასწავლებლების ოსტატობის ხარისხი, თავიანთი შვილების აქტიურობის დონე. იყო კურიოზებიც, როცა უფროსები ვერ ითმენდნენ შვილებისა თუ შვილიშვილების წაფორთხილებას და ცდილობდნენ კარნახით დახმარებოდნენ მათ. ბუნებრივია, მასწავლებლებიც შესაბამისად რეაგირებდნენ.

ონლაინ სწავლებასთან ერთად მოსწავლეები ჩართული იყვნენ კამპანიაში–,,დარჩი სახლში“, რომლის ფარგლებშიც გაიმართა ინტერნეტღონისძიებები - ,,პოეზიის საათი“ და ,,ბოლო ზარი“, რომელსაც მენტორი მასწავლებელი–ქალბატონი ნინელი ხუხია ხელმძღვანელობდა.

ასევე ვიდეომონტაჟით დაასრულეს სასწავლო წელი პირველ კლასელებმა (ხელმძღვანელი - წამყვანი მასწავლებელი ლალი ფეტელავა). სიმბოლური იყო ისიც, რომ რეალური ბოლო ზარიც მოსწავლეების გარეშე დაირეკა.

სასწავლო პროცესში იყო ხარვეზებიც, რაც სიახლის დამკვიდრების თანმდევია და მოულოდნელი არ ყოფილა. ყველასთვის ცნობილია ის, რომ ონლაინ-გაკვეთილები ვერასდროს ჩაანაცვლებს ცოცხალ გაკვეთილებს, თუმცა ონლაინ-გაკვეთილების სწორად დაგეგმვით შესაძლებელია არაერთი სასწავლო მიზნის მიღწევა, რისთვისაც მეტი ფიქრი მართებთ პედაგოგებს, რათა შესაძლო გართულებების შემთხვევაში უფრო მომზადებულნი შეხვდნენ სირთულეებს.

ჩვენი სკოლის თერმომეტი კურსდამთავრებული მიიღებს საშუალო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს–ატესტატს, მათ შორის ერთს–**ირაკლი კვიკვინიას**–საშუალო საფეხურის წარჩინებით დამთავრებისთვის ოქროს მედალი გადაეცემა.

კურსდამთავრებულთაგან ექვსი აბარებდა ეროვნულ გამოცდებს და ექვსივე საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტი გახდა:

ირაკლი კვიკვინია–თსუ; **ნიკა ფილიპია**–თსუ, **ზვიადი ბეჭვაია**–სტუ, **გიორგი წოწერია** –ბათუმის საზღვაო აკადემია; **თამარ თოლორაია** და **თამაზი ბუკია**–ორივე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ვსარგებლობ შემთხვევით და თითოეულ მათგანს ვულოცავ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას. ვუსურვებ სასიამოვნო და ნაყოფიერ სტუდენტურ წლებს, რათა რამდენიმე წელიწადში პროფესიონალებად დაბრუნდნენ და ჩადგნენ მშობლიური მუნიციპალიტეტის და ხალხის სამსახურში.

ასევე მინდა ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება. განსაკუთრებით კი იმ ოც პირველკლასელს, ვინც გაფართოებული თვალებით შემოაღებს წელს ჩვენი სკოლის კარებს!

კობა კვიკვინია,
სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორი.

ხარაჩოები მაღლა მიიწევს...

ახალს არაფერს ვამბობ, უჩვეულო შემოდგომა გვიდგას. კოვიდ-19-ის ეპიდემიამ შეცვალა მსოფლიო, მათ შორის ჩვენი ცხოვრებაც.

სექტემბერი განსაკუთრებული თვეა. არ არსებობს ოჯახი სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დაწყებასთან სასიამოვნო განწყობა ან მოგონება არ აკავშირებდეს. წელს პანდემიის გამო უცნაური ახალი სასწავლო წელი დგება.

ჩემი სოფელიც, როგორც ყოველთვის, საგულდაგულოდ ემზადება ახალი სასწავლო წლისთვის. საბავშვო ბაღში სარემონტო სამუშაოები დაიწყო. ჩქარობენ ხელოსნები, რათა ოქტომბრის პირველი დილა მშობლებისა და პატარებისთვის ნამდვილ ზეიმად აქციონ.

ემზარ დალაქიშვილი

განსაკუთრებული და უჩვეულო ფაცი-ფუცია №1 საჯარო სკოლაში. მიუხედავად შენობის სიძველისა, იგი მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის მეორე ოჯახია. ეს ის ადგილია, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობას დიდი სითბოთი და სიყვარულით ხვდებიან და მომავალი ცხოვრებისთვის წვრთნიან მარალპროფესიონალი მასწავლებლები.

დირექტორი, ამ სკოლის აღზრდილი, ქალბატონი ლუარა ყალიჩავა სამ ათეულ წელზე მეტია სკოლას წინამძღვრობს და სიამოვნებით აღნიშნავს:

–პედაგოგების უმრავლესობა სკოლის ყოფილი მოსწავლეები არიან და ერთგულად ემსახურებიან ყველაზე სათუთ საქმეს–მომავალი თაობის აღზრდას. პანდემიის გამო წლევანდელი წელი განსხვავებულია, დასაცავია დისტანცია, გასათვალისწინებელია ახალი რეგულაციები. აქ ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მოსწავლეებს დახვდეს მოწესრიგებული, უსაფრთხო გარემო, დაცულია ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები, ჩატარდა მონიტორინგი და სკოლამ სრულად დააკმაყოფილა პანდამის რეგულაციები და არსებული მოთხოვნები. ამდენად მოვიპოვეთ სწავლის დაწყების უფლება.

გასული სასწავლო წელი არამარტო პედაგოგებისთვის, არამედ სოფლის თითოეული მცხოვრებთათვის ოცნების ასრულების წელიწადი იყო... ქვალონელების ოცნება, რეალობად იქცა. სკოლის ახალ შენობას საძირკველი ჩაეყარა. სიმართლე ითქვას, ეს იყო წლობით მავანთა და მავანთა დანაპირების რეალობადქცევა. ხელისუფლების მისამართით მადლიერებას ბოლო არ უჩანდა...

გავიდა რამდენიმე თვე და ახალი სკოლის ეზოს მშენებლები ესტუმრნენ, მოიყვანეს ტექნიკა და დაიწყო მშენებლობა.

ჩვენდა საბედნიეროდ, ყოველ ცისმარე დღე სოფელს ტექნიკის ხმაური აღვიძებს. ხარაჩოები მაღლა მიიწევს. შენობა 300 მოსწავლეზეა გათვლილი და ღირებულება ოთხი მილიონ ასი ათასი ლარია.

–განსაკუთრებული პროექტია, რეგიონში ასეთი პროექტით ეს პირველი სკოლა იქნება. შენობა შეზღუდული შესაძლებლობისა და მხედველობადაქვეითებული მოსწავლეებისთვის ადაპტირებული იქნება. დაცულია უსაფრთხოების ნორმები. გათვალისწინებულია დახურული და ღია სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, ცენტრალური გათბობა. უფალმა დაგვიფაროს, მაგრამ 12 ბალიან მიწისძვრას გაუძლებსო–მიყვებიან მშენებლები.

სკოლას შ.პ.ს. „პრაიმ ბეტონი“ აშენებს. ეს ის კომპანიაა, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის აღმშენებლობაში თავის წილს იდებს. მის სახელთანაა დაკავშირებული გზების მშენებლობა პატარა ფოთში, ქარიატაში, პირველ მაისში, საჯიჯაო-ახალ ხიბულაში.

სამუშაოთა მწარმოებელი, მშენებელ-ინჟინერი ბატონი ემზარ დალაქიშვილი ტენდერით გათვალისწინებულ პირობებზეც მიყვება და ამბობს:

–სკოლის შენობა 18 თვეში უნდა ჩაბარებულიყო, მიუხედავად იმისა, სამუშაოები ხელისუფლების მხარდაჭერით არ შეჩერებულა, კოვიდ-19-ის პანდემიამ მაინც შეგვაფერხა. ვფიქრობ, მომავალი წლის სექტემბერში დამთავრებული იქნება.

ბატონ ემზარისთან საუბარი სასიამოვნოა, ჩანს, რომ მას დიდი გამოცდილება და პასუხიმგებლობა აქვს. იგი ყველა წვრილმანზე და ნებისმიერ აქ მომუშავე ადამიანზე სიამოვნებით მიყვება.

–თბილისელი კაცი ვარ. სკოლა რაჭაში, ჭელიაღელეში, ოქროს მედალზე დავამთავრე. მშობლების სურვილის საწინააღმდეგოდ (უნდოდათ სამედიცინო განათლება მიმეღო) ვლადიკავკაზში „გავიპარე“ და იქ დავეუფლე ინჟინრის პროფესიას, არასოდეს მინანია, რადგან მშენებლობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. ბედნიერი ვარ, რომ საყვარელ საქმეს ვემსახურები.

უცნაური დამთხვევაა, როგორც მითხრეს, თურმე ამ სკოლას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩემი სოფლის მკვიდრი, სულმნათი ცაცა დალაქიშვილი. ახლა მე მიხდება მისი ოცნების ფრთაშესხმა.

სამეგრელოში პირველად მომიწია მუშაობა, თავიდან ვღელავდი, მაგრამ სოფელი დიდი თანადგომის სურვილით დაგვხვდა. როცა საძირკველი გავთხარეთ, რამდენიმე ახალგაზრდა მოვიდა და გასამრჯელოს გარეშე მუშაობა და დახმარება შემოგვთავაზა.

მადლობა მათ და საერთოდ სოფელს იმ სითბოსთვის, რასაც ისინი ჩვენი მშენებლების მიმართ იჩენენ. რამდენიმე ადგილობრივი დავასაქმეთ. პირველი სართულის კედლების ამოყვანა დამთავრებულია, ახლა მეორე სართულის ბლოკის წყობას დავიწყებთ და დასაქმებულთა რიცხვიც გაიზრდება.

გაივლის წლები და რაინდი გაბედავა, რეზო ივანელაშვილი, ბუთხუზი სიჭინავა, ელგუჯა ფიფია, ძმები ემზარი და ვენორი გულორდავები, გიზო სიხარულიძე, ირაკლი კვარაცხელია, გურამი ანთია, გიორგი ბუკია, გიორგი ღვანია იამაყებენ სკოლის მშენებლობაში სხვადასხვა მიმართულებით მონაწილეობისთვის.

ობიექტის დაცვას უზრუნველყოფს შ.პ.ს. „თბილისი“, ქალაქ ფოთის საქალაქო სამსახური (უფროსი ზაზა გურჩიანი).

პროექტის მენეჯერი გიორგი კერვალიშვილი გახლავთ, მშენებლობას გამოცდილი მშენებელი ლაშა ჭიპაშვილი ხელმძღვანელობს.

ასე, რომ მშენებლობა სკოლის 100 წლის იუბილესთვის დამთავრდება. მჯერა, რომ მომავალი 2021-2022 სასწავლო წელი განსაკუთრებული, ფეხბედნიერი იქნება სოფლისთვის, თანამედროვე–სტანდარტების შენობაში დაიწყება სწავლების პროცესი.

* * *

წელს ქვალონის საჯარო სკოლა ძველ შენობაში 180 მოსწავლის მოლოდინშია.

იმედიანი, ბედნიერი და ნათელი მომავალი ვუსურვოთ მათ.

მერი ლაგვილავა.

* * *

ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ საბავშვო ბაღის ღობის მოწყობა მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქავჯაია, პირველი მაისის ადმინისტრაცილ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად გაეცნო.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 42680 ლარია.

წელს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით პირველი მაისის საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია განხორციელდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ხობის მუნიციპალიტეტის 21 ადმინისტრაციულ ერთეულში, 784 ათასი ლარის ღირებულების 51 პროექტი განხორციელდება.

* * *

ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის და საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ბაღების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.

საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე 37 438 ლარი დაიხარჯება.

სამუშაოებს ინდივიდუალური მეწარმე „რამინ შენგელია” აწარმოებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ დაათვალიერა.

ურთულესი პროფესიის მოამაგე

განათლების სისტემაში მოღვაწე ადამიანთა ყველა თაობის კოჰორტას ულამაზესი სულის, განათლებული, მეტად ღირსეული ადამიანები ავსებდნენ და ავსებენ...

ერთ-ერთი მათგანია 96 წლის ნუცა ბეგლარის ასული გვასალია, რომელიც შუახორგაში დაიბადა და გაიზარდა. სკოლის შემდეგ მან წარმატებით ჩააბარა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (დღევანდელი ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი), რომელიც ფილოლოგის კვალიფიკაციით წარმატებით დაამთავრა. ახალგაზრდა ნიჭიერი ფილოლოგი მუშაობას იმ სკოლაში იწყებს, რომელიც თავად დაამთავრა. იგი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის რანგში მოევლინა საკუთარ სკოლას.

პედაგოგობა ერთ-ერთ ურთულეს პროფესიად მიიჩნევა, რომელიც სხვა პროფესიათა მსგავსად, განსაზღვრული უნარ-რჩევების ფლობას მოითხოვს. ახალგაზრდა პედაგოგმა შუახორგელ ბავშვებს პირველი დღეებიდან სიყვარულით სავსე თვალები შეაგება, რამაც საოცრად შეუმსუბუქა ის ტვირთი, რასაც მასწავლებლობა ჰქვია. ეს ტვირთი მან დიდი რუდუნებით ზიდა, როგორც სასურველი და სათუთი საქმე.

საქმისადმი სიყვარული და ფაქიზი დამოკიდებულება ბავშვების, სკოლის პედაგოგებისა და მშობლების მიმართ გახდა საბაბი იმისა, რომ მცოდნე და ნიჭიერი გოგონა დაეწინაურებინათ. ნუცა ამ სკოლის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა სასწავლო მუშაობის დარგში. იყო სკოლის დირექტორიც. პედაგოგიური მუშაობის პარალელურად ძალზე აქტიურობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ამიტომაც რაიონის ხელმძღვანელებმა ქალბატონი ნუცა გვასალია სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. გახლდათ რაიკომის წევრი, რამდენჯერმე იყო არჩეული ადგილობრივი და რაიონული საბჭოს დეპუტატად...

1970 წლიდან ქალბატონი ნუცას პედაგოგიური მოღვაწეობა უკვე ჯაპიშაქრის საშუალო სკოლაში გრძელდება. ის სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილედ ინიშნება იმ სკოლაში, სადაც მუშაობდა მისი მეუღლე ბატონი გიორგი (ჟორჟი) ნადარაია. ის გახლდათ ისტორიკოსი, სახალხო განათლების წარჩინებული პედაგოგი.

ძნელად თუ მოიძებნება პედაგოგი, რომელსაც არ სურს, მოსწავლეთა შორის აღიარებული და პოპულარული იყოს. მისი საქმიანობა, როგორც პედაგოგის, როგორც საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურის, კარგი მეგობრის, მეუღლის, დედის, ბებიის მართლაც რომ მისაბაძი იყო და არის. მის ყველა ღირსებას თან ახლავს დამსახურებულად ბოძებული რეგალიები: მიღებული აქვს განათლების სამინისტროს სიგელები. გახლავთ რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ტიტულის მფლობელი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

პენსიონერი ქალბატონი, 96 წლის ნუცა გვასალია, როგორც ღირსეული პედაგოგი, დაფასებული ადამიანი, ნიჭიერი და საამაყო შვილების ცეზარის, ვახტანგის და ზაზას დედა გახლავთ. უფროსი ვაჟი ცეზარი, სპეციალობით არქიტექტორი კრასნოიარსკში ცხოვრობს, ავიოკოსმიურ აკადემიაში მოღვაწეობს, გახლავთ რამდენიმე გამოგონების ავტორი, ამჟამად სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს. ვახტანგი გეოლოგია, ორივენი დაოჯახებულები არიან, ხოლო ზაზა, რომელიც კრასნოდარში ცხოვრობს, უცოლოა. დედა მისი დაოჯახების მოლოდინშია ის ამავე ქალაქის აგრარული უნივერსიტეტის დოქტორი გახლავთ. ღირსეულ დედას ნიჭიერი და დაფასებული შვილები ჰყავს. ქალბატონი ნუცა ხუთი შვილიშვილის ბებიაა. მათ შორის ერთი–რომანი კრასნოდარში მოღვაწეობს და ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი გახლავთ, ამასთან ერთად სპორტის ოსტატია ძალოსნობაში.

ახლა სექტემბერია. ყველა პედაგოგი ახალი სასწავლო წლის მოლოდინშია. ყველა მათგანი ახალი სურვილებით, იმედებითა და ინიციატივებით ეგებებება 15 სექტემბერს. ქალბატონი ნუცა, როგორც მასწავლებელი, სკოლის კედლებს დიდი ხანია ჩამოშორდა, ამ დღეს იგი მუდამ ეიფორიაშია, გული სხვაგვარად უცემს ისე, როგორც წარსულში, სკოლაში მუშაობის დროს. თუმცა მას მუდამ სიყვარულით ულოცავენ ყოფილი მოსწავლეები, კოლეგები, ახლობლები, რადგანაც მან ყველას სიყვარული დაიმსახურა.

ქალბატონო ნუცა, ღირსეულო პედაგოგო! მეც მსურს დიდი მოწიწებითა და პატივისცემით მოგილოცოთ ახალი სასწავლო წლის დაწყების დღე, ღირსეული, განუმეორებელი და განსაკუთრებული დღე თქვენს ცხოვრებაში.

კიდევ მრავალი წლის სექტემბერი მოელოცოთ თქვენთვის!

ნანი კილასონია.

საზრუნავი ჯერაც ბევრია

სოფელი პირველი მაისი ქალაქთან ახლომდებარე ტერიტორიული ერთეულია ხობის მუნიციპალიტეტში. აქ შეგნებული, ძლიერი და შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. ინტელიგენციის დიდი ნაწილი დასაქმებულია სხვადასხვა სტრუქტურებში, ასევე სკოლებში, საბავშვო ბაღებში. აქ კერძო საწარმოები და მარკეტები ფუნქციონირებს.

პირველ მაისს წლებია უძღვება და ხელმძღვანელობს მარინე ლაგვილავა, მოსახლეობაზე შეყვარებული, ძლიერი, დიდი ტკივილიანი გულის მატარებელი, მაგრამ საქმის ერთგული ქალბატონი. მე და ქალბატონი მარინე მხარში ვუდგავართ ერთმანეთს, ერთად ვიღწვით, რათა ჩვენი სოფელი გამორჩეული იყოს. ვეხმარებით სოციალურად დაუცველ ან ნებისმირ თხოვნით მოსულ ადამიანებს. სოფლის გასაჭირზე ვსაუბრობთ მერიასა და საკრებულოში. ხობის მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე სხვა სამსახურებთან ერთად წყვეტენ იმ საქმეებს, რომელიც ხალხს აწუხებს და შეძლებისდაგვარად აგვარებენ.

სოფელში არის შესანიშნავი საღვთო სახლი–ჩვენი სავიზიტო ბარათი ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმინდა დიდისა გიორგის და წმინდანისა, მღვდელმთავრისა და საკვირველმოქმედისა ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსი და საპატრიარქო რეზიდენია, რომელიც პირველ მაისში გაზრდილმა ადამიანმა–მეცენატმა გოდერძი ბუკიამ ააშენა. ასევე აქ არსებობს „აია სოფიას" ტაძრის ნანგრევები, სადაც მონასტრის აშენებამდე, ხალხი მიდიოდა და დღესასწაულებს აღნიშნავდა. მას მიხედვა და პატრონობა სჭირდება. იმედია, ისიც აღდგება. უკვე მასთან მისასვლელი 4 კმ–გზის მონაკვეთის პროექტი მზადაა. რის გამოც მადლობას ვუხდით მერიას. ამ პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. რადგან იქ ბევრი შესანიშნავი ადგილებია.

მიმდინარე წელს ბევრი პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი. უმთავრესი გახლავთ გაზიფიცირება და მაგისტრალური წყალსადენიდან მოსახლეობაში მაგისტრალური წყლის შეყვანა. გაზიფიცირება უკვე დამთავრებულია. მალე დაიწყება ოჯახებში მისი დაქსელვა. პანდემია, რომ არა, ეს უფრო ადრე იქნებოდა დამთავრებული. სოფლის მაგისტრალური წყალსადენის პროექტი, 2016 წელს გაკეთდა, მაგრამ განხორციელება ვერ მოხერხდა მიზეზთა სხვათა გამო. ამჟამად ის ისევ დღის წესრიგში დგას და დაფინანსების მოლოდინშია. არადა ხალხი გაუსაძლისად განიცდის უწყლოობას. ამიტომაც მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა გვჭირდება, იმედია, ეს დიდიხნის სატკივარი სათანადოდ გადაწყდება.

მიუხედავად პანდემიისა, პირველ მაისის ერთეულში განხორციელდა შემდეგი პროექტები: სოფელ საკვიკვინიოში გაკეთდა ნაპირსამაგრი სამუშაოები 260 გრძლივ მეტრზე, მთლიანად გამოიცვალა და გადაიხურა ბაგა-ბაღის შენობა. განხორციელებულ საქმეებს შორისაა გენადი ჭკადუას საკარმიდამო ეზოს კეთილმოწყობა. ეზო დამეწყრილია მდინარე მუნჩიას მიერ. პროექტი მზად იყო, მაგრამ დაირღვა, იგი პრობლემების შესატყვისად შეიცვლება. პროექტს განახორციელებს „შარაგზამშენი". დღეისთვის მოლოდინის რეჟიმში ვართ. პანდემიის პერიოდში კეთილ ნებას იჩენდნენ და მის განხორციელებაში წილს იდებდნენ ადგილობრივი მეწარმეები, კერძოდ დაფნის გადამუმაშავებელი საამქროების მესვეურები. მადლობა მათ გვერდში დგომისთვის.

პანდემიისას დიდი დახმარება გაეწია მოსახლეობას. ხობელმა მოხალისეებმა დახმარება გაუწიეს ასაკოვან, სოციალურად დაუცველებს, მარტოხელებს, მრავალშვილიან ოჯახებს. მადლობა ყველა იმათ, ვინც გულთან ახლოს მიიტანეს გასაჭირი და ადამიანებისთვის დახმარების გაწევა გადაწყვიტეს. მალხაზ გაბისონიას ოჯახი 7 უპოვარ ოჯახს დაეხმარა. არასამთავრობო ორგანიზაცია–5 ოჯახს, ხობის მერია–105 სოციალურად დაუცველს. გოდერძი ბუკიას ფონდი 22 ოჯახს სურსათით დაეხმარა. ისეთ პიროვნებებს, ვისაც უჭირდათ გადაადგილება, სახლებში მიეწოდათ წამლები და პროდუქტები...

ამჟამად დღის წესრიგში დგას ქუჩების რეაბილიტაცია–მოხრეშვა. ვფიქრობ, სასურველია, ადგილობრივი ინერტული მასალა იქნას გამოყენებული ამ საჭირო საქმეში.

სოფლის რწმუნებული და მე საკრებულოს დეპუტატი პირველ მაისში, ყველა მოსაწესრიგებელ საქმეებს ერთმანეთთან შეთანხმებით ვწყვეტთ.

საზრუნავი და გასაკეთებელი ჯერაც ბევრია. წინ საპარლამენტო არჩევნებია. იმედია, კეთილგონიერება გაიმარჯვებს.

გოჩა ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

გვახსოვდეს აფხაზეთი!
27 სექტემბერი—სოხუმის დაცემის დღე!

27 ტკივილიანი წელი...

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ, ხობისთვის უცნობ გმირზე, ჩემს ძმაზე თენგიზ ძაძამიაზე მინდა გიამბოთ. აქამდე მასზე მხოლოდ სოციალურ ქსელში ვწერდი, ისიც მოკრძალებით.

თენგიზ ძაძამია დაიბადა სოხუმში 1960 წელს. დაამთავრა სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლა წარჩინებით. დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის წევრი, კოსტავას საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი სოხუმში.

უყვარდა პოეზია, წერდა ლექსებს. იყო შესანიშნავი შვილი, მეუღლე, მამა, ძმა და ვინ იცის კიდევ... რომ არა აფხაზეთის ომი.

კონფლიქტის დაწყების პირველი დღიდანვე იდგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, იბრძოდა და იცავდა თავის საყვარელ ქალაქს, თავის წილ სამშობლოს სეპარატისტებისგან. თერთმეტთვიანი შეუდრეკელი ბრძოლებისგან 1993 წლის 9 ივლისს სოხუმზე განხორციელებული ფართომასშტაბიანი შეტაკებისას შრომა-ცუგუროვკის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ)...

არადა მხოლოდ 33 წლის იყო. ყავდა შესანიშნავი მეუღლე და სამი შვილი. სხვა ცხოვრებაზე ოცნებობდა, შვილების ღირსეულ მომავალზე. სამშობლო უყვარდა, საქართველო, ამაყობდა ქართველობით.

სოხუმი უყვარდა, მხოლოდ იქ უნდოდა ეცხოვრა, ემუშავა, ეცოცხლა. წერდა ლექსებს, ესეებს, ნოველებს... წერდა...

„ცოტნეს სიამაყით უნდა იამაყო,
თორემ ამ „ხელის ჭუჭყს“
სულაც მოიპარავ“

წერდა ზღვაზე, მშობლიურ ქალაქზე, სიყვარულზე...

„მზე ზღვაში ჩაეშვა,
გაბრწყინდა ზღვა
ნახა რა სიშიშვლე მზისა,
გაწითლდა ცა...
შენ რომ მზის ჩასვლა გეგონა?!“

ომი დაიწყო და ლექსებიც შეიცვალა... ხასიათი, შინაარსი, თემა...

„ეს მე ვარ, შენი ახალი იარა
ჯერ სისხლით სავსე,
დაცლილი კი არა,
ვერ მიხვდე იქნებ დროულად
ვინა ვარ,
რადგანაც მუდმივად ოხვრა და
გმინვა ვარ...
მაქვს ჩემი ხატი და მაქვს
ჩემი თილისმა,
ყოველი მტკაველი მშობლიურ
მიწისა..“

როცა დაიღუპა, მისი ტანსაცმლის გულის ჯიბეში წვერწატეხილი ფანქარი და ეს დაუსრულებელი ლექსი ვიპოვე...

„დაჩოქილი და ქართველი?!
საქართველოო გაკრულო
ჯვარზე..
ერო ძლიერო,
ისევ და ისევ მავალო მზისკენ...
ერო ჯიუტო,
ამ სიჯიუტით სახელგანთქმულო,
ფიქრი დარაზმე...“

რა გაგრძელება ექნებოდა შენს ცხოვრებას და ამ ლექსს, ომი რომ არა, ჩემო ტკივილიანო სიამაყევ?! ვიცი, 9 ივლისს რომ არ დაღუპულიყავი, 27 სექტემბერს სოხუმს მაინც არ დატოვებდი და იქაც გმირულად იბრძოლებდი. ის არ ვიცი, რა უფრო მინდა, ცოცხალი მყავდე თუ გმირი?!

თბილისში გმირთა მოედნის მემორიალზე ოქროს ასოებით ამოტვიფრული შენი სახელი ალბათ, რაღაცას ნიშნავს, მაგრამ მე ტკივილამდე მაკლიხარ, მენატრები და იმაზე მეტად მიყვარხარ ვიდრე სიცოცხლეში.

შენ ჩემი და შენი საქართველოს გმირი ხარ თენგიზ ძაძამია!

დიდება ყველა იმ ვაჟკაცის სახელს, ვინც სამშობლოსთვის გასწირა თავი!

გვახსოვდეს სოხუმის გმირები! გვახსოვდეს აფხაზეთი!

ქარი და ლერწამი
(ჩანახატი)

ვუძღვნი აფხაზეთში გმირულად დაღუპული ვაჟკაცების ხსოვნას...

სადღაც ზღვის პირას წალკოტი ყვაოდა. მარადმწვანე, ბუმბერაზი ხეები ნაზად ანაწილებდნენ მზისმწველ სხივებს, ზღვა სიგრილეს ფენდა არემარეს, ცელქი სიო ამ ყველაფრით ტკბებოდა, დანავარდობდა. მოშორებით, ნესტიან ადგილას, რატომღაც მუხა გარინდულიყო, და თვალს ავლებდა ყოველივეს. მის ჩრდილში კი უცნაურად ლამაზი ლერწამთა ჯარი ამოსულიყო. საოცარი იდილია სუფევდა.

ცელქი სიო დილით ზღვის შხეფებს აიტაცებდა, ლერწმებს მიაშურებდა, შეარხევდა, ეთამაშებოდა, გულს იჯერებდა და ისევ ზღვაში იკარგებოდა. მუხა უყურებდა სიოს ანცობას და ლერწამთა ჯარს ეფერებოდა, ჩრდილს ფენდა, უყურებდა როგორ იზრდებოდნენ, იმართებოდნენ და ტკბებოდა.

წლები გადიოდა... წალკოტი ყვაოდა...

ერთ დღეს კი ცა მოიქუფრა, ზღვა აბობოქრდა, სიო გაქარდა და რაკილა ძალა იგრძნო, უკვე თამაში აღარ უნდოდა. ჩაუქროლა ბუმბერაზ ხეებს, ერთი ორი ტოტი შეამტვრია და კმაყოფილი ლერწმებს მივარდა. ისე ძლიერად შეარხია, შეკრთნენ ლერწმები, არ მოეწონათ მეგობრის თავხედობა, არ ელოდნენ. მაგრამ ქარი არ ჩერდებოდა და მაშინ მუხა გადაეფარა აშოლტილ ლერწმებს. ქარმა ვერ გაბედა მუხის შეხება, გვერდი აუარა და უკუიქცა.

ჩამობნელდა, იჭექა და გაიელვა. წექა-ქუხილმა ქარი ქარიშხლად აქცია და იგრძნო, ძალა ცელქმა სიომ, შეუტია წალკოტს, მილეწ-მოლეწა ყოველივე და ისევ ბავშვობის მეგობრებს, ლერწმებს მივარდა. უნდოდა წელში მოეწყვიტა, მაგრამ მუხის ეშინოდა, თან ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა ლერწამთა ჯარისგან, გაოგნდა. ცა ჩამობნელდა, იჭექა და გაიელვა. ერთი წამით წალკოტი განათდა... ბუმბერაზი ხეები სადღაც გაპარულიყვნენ... მხოლოდ მუხა იდგა ამაყად და მის ირგვლივ ლერწამთა ჯარი. ისევ საშინლად ჩამობნელდა, მეხი გავარდა, მუხა ლერწმებს გადაეფარა და მეხმა იგი შუაზე გააპო, დააჩოქა. ისევ იჭექა, ელვამ ქარიშხალს ხელში მისცა სიკვდილის ცელი. გათამამდა ქარიშხალი და გრიგალად იქცა, უკვე მუხის არ ეშინოდა, დაერია ლერწმებს და კაფა და კაფა როგორც მისწვდა, გული იჯერა. უეცრად საოცარი გალობის ხმა გაისმა და გაირინდა ირგვლივ ყოველი. ქარიშხალი შედრკა, სმენად იქცა, ველარ მიხვდა ეს რა იყო, ვინ გალობდა... სალამურებად ქცეულიყვნენ აკაფული ლერწამთ სხეული და გალობდნენ სიცოცხლის საგალობელს...

მიხვდა სიო რაც ჩაიდინა, მიხვდა თუკი გაინძრეოდა მთელს სამყაროს მოედებოდა მელოდია, მაგრამ სხვა გზა არ ქონდა, გაბრაზებულმა ცას ახედა და ზღვისკენ გაქანდა.

მთელს სამყაროს მოედო სალამურების ნაზი გალობა და დღესაც ისმის წალკოტის თავზე მარადიული სიცოცხლის და სიყვარულის საგალობელი.

შორენა ძაძამია

აფხაზეთის გეოგრაფია



სულ ახლახანს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა მეტად საინტერესო წიგნი „აფხაზეთის გეოგრაფია“ (ავტორები ლენა კიტია და ვალერიან ზუხბაია). შეიძლება ითქვას, ქართულ ენაზე პირველი ნაშრომია (მანამდე გამოვიდა შ. ლაშხიას, კ. მგელაძის და კუფნტის აფხაზეთის ფიზიკური გეოგრაფია რუსულ ენაზე). ავტორებს დიდი შრომა რომ გაუწევიათ ეს ნამდვილად ჩანს წიგნიდან.

ქალბატონი ლენა კიტია პირადად ჩემთვის, ძალიან ახლობელი ქალბატონია. აფხაზეთის მასწავლებელთა და ხელოვნების ინსტიტუტიდან ვიცნობ, როგორც ნიჭიერ, ენერგიულ, რაც მთავარია, გამოცდილ გეოგრაფს და მეთოდისტს მეც თემაზე მუშაობისას ბევრი სასარგებლო რჩევა მიმიღია მისგან.

მიუხედავად ასაკისა, ქალბატონ ლენას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დიდი შრომა გაუწევია მასალების დასამუშავებლად. რაც შეეხება ჩემს მასწავლებელს, პროფესორ ვალერიან ზუხბაიას, (ღმერთმა ნათელში ამყოფოს) მკითხველთა და სპეციალისტების წინაშე წარდგენა არ სჭირდება, ის რამდენიმე წიგნისა და სახელმძღვანელოს ავტორი გახლდათ.

მინდა ქალბატონ ლენას დიდი ხნის სიცოცხლე ვუსურვო, კიდევ მრავალჯერ გაეხარებინოს მკითხველი.

ბეჟან ნადარაია

წინასიტყვაობა

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მოლივლივე შავი ზღვა, მისი სანაპირო, გაგრის, ბზიფის, კოდორის ცადაზიდული ქედები, მწვერვალები თუ ულელტეხილები, მთების განლაგება, მდინარეთა–ენგურის, კოდორის, ლაღიძგის, ბზიფის, გუმისთის ფირუზისფერი ტალღების ზვირთცემა, გეგას ჩანჩქერი, მდინარეთა ღრმად ჩაჭრილი ხეობები–კანიონები, უნიკალური რიწის ტბა, მიწისქვეშა „საოცრებათა ქალაქი“–ახალი ათონის მღვიმე და სხვა ბუნებრივი და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, კურორტები: გაგრა, ახალი ათონი, ბიჭვინთა, სოხუმი... წარმოდგენილია ამ ყველაფერმა არ აგამეტყველოს.

ჩვენი ულამაზესი მშობლიური კუთხის სიყვარულმა, ნოსტალგიამ შთაგვაგონა და მოგვცა სტიმული, რომ დაგვეწერა წიგნი „აფხაზეთის გეოგრაფია“, წიგნი უნდა გამოსულიყო 2001 წელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, დროებით შეფერხდა. წიგნი დაზღვეული არ არის ხარვეზებისგან, რისთვისაც წინასწარ ბოდიშს ვიხდით. ამავე დროს მკითხველს ვთხოვთ, მოგვაწოდოს საქმიანი შენიშვნები და რეკომენდაციები.

წიგნი „აფხაზეთის გეოგრაფია“ შედგენილია მკითხველთა ფართო წრისთვის. გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისთვის, საჯარო სკოლების მე-8–9 კლასებში საქართველოს ფიზიკური და სოციალურ-ეკონომიკურ გეოგრაფიაში პროგრამულ მასალასთან ერთად კავშირში, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო.

ცოტა რამ ავტორის შესახებ

ქალბატონი ლენა ევსევის ასული კიტია დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევში 1932 წელს. დაამთავრა ქ. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი, სპეციალობით გეოგრაფი, მუშაობდა ქ. სოხუმის პარტიის ქალაქკომში სააღრიცხვო განყოფილებაში, ქ. სოხუმის შ. რუსთაველის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, თავისუფლების (სოხუმის რაიონი) საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ, აფხაზეთის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში კითხულობდა გეოგრაფიის მეთოდიკას. იყო ქალაქ ზუგდიდის უნივერსიტეტის გეოგრაფიის უფროსი მასწავლებელი, აფხაზეთის განათლების სამინისტროს გეოგრაფიის მეთოდისტი. მონაწილეობდა გეოგრაფიული საზოგადოების ყრილობებსა და კონფერენციებში. არის ალპინისტი, დაპყრობილი აქვს დოლომისის მწვერვალი, ბუბის მყინვარი, დალაშქრული აქვს მაღალი მთები, მოვლილი აქვს ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიები და საზღვარგარეთის ქვეყნები.

განათლების დარგში ნაყოფიერი მუშაობისთვის დამსახურებულ პედაგოგს მიღებული აქვს მრავალი სახის ჯილდო. ჰქონდა მეთოდური ნაშრომები, გამოცემული აქვს წიგნი „აფხაზეთო, ჩემი სულის ნაწილო“ (ლექსთა კრებული, დაწერილი აქვს „აფხაზეთის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“.

გოგონა ასპროცენტიანი გრანტით...

რუბრიკა „ჩემი გმირი ქალი“ ფემინისტურ ისტორიებს აერთიანებს. ქალებს, რომლებიც უჩუმრად, ყოველგვარი პიარის გარეშე ცხოვრობენ ამ ქვეყნად, მაგრამ თავიანთი ცხოვრებით სიკეთისკენ ცვლიან სამყაროს... გმირია დედა, რომელიც წარმატებულ შვილს უზრდის სამშობლოს, დედა, რომელიც ცრემლიანი თვალებით ტოვებს ოჯახს და შრომობს ლუკმა-პურისთვის. გოგონა, რომელიც ცდილობს სწავლით ქვეყანას გამოადგეს..

დღეს ჩემი რუბრიკის სტუმარია ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ქეთი კანკია, გოგონა, რომელიც თავისი შრომით, მონდომებით და სწავლით საამაყოა. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა..

მოგესალმები ქეთი.

–გამარჯობა, მე ვარ ქეთი კანკია, 17 წლის. ვცხოვრობ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთაში. ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივრები არიან ჩემი მშობლები ნანა სარჩიმელია და ზაზა კანკია. დედა პროფესიით პედაგოგია, მამა მექანიკოსი.

რომელ სკოლაში სწავლობდი?

–დავამთავრე ხეთის საჯარო სკოლა

წიგნებთან შენი შეგნებული ურთიერთობა როგორ დაიწყო?

–როცა მესამე კლასში ვიყავი დაწყებითების მასწავლებელმა მირჩია წამეკითხა ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. კითხვის პროცესი ძალიან მომეწონა და ვისიამოვნე. ამის შემდეგ დავუახლოვდი წიგნებს და თანდათან გავიაზრე ისიც, თუ რაოდენ დიდ სარგებელს ვიღებ მათგან.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რომელმა მასწავლებელმა ან ადამიანმა მოახდინა ?

–მასწავლებლებიდან არავის არ გამოვარჩევ, რადგან ყველას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს ცხოვრებაში და არ მინდა ვინმეს ღვაწლი გამომრჩეს. ამიტომაც გეტყვით, რომ ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დედაჩემმა. მე მისი პიროვნებით პატარაობიდანვე მოხიბლული ვარ, ვცდილობდი მისთვის მიმებაძა. დედაჩემმა დამანახა, რომ წარმატების მისაღწევად არ არის საჭირო იყო ვიღაც გავლენიანი პირის შვილი, მთავარია მონდომება, ნიჭისა და შესაძლებლობების სწორად გამოყენება.

რა არის შენთვის სკოლა და მასწავლებელი?

–ჩემთვის სკოლა არის გარემო, რომელიც საშუალებას გაძლევს ისწავლო ურთიერთობა განსხვავებულ ინდივიდებთან და გამზადებს სამომავლო ცხოვრებისთვის. ჩემი აზრით, მასწავლებელი ერთდროულად არის ფსიქოლოგი, მწვრთნელი და მოსწავლის მეგობარიც. მათზე ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული და საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობის მქონე პროფესიაცაა.

როდის გადაწყვიტე პროფესიის არჩევა და ვინ ითამაშა მნიშვნელივანი როლი?

–პროფესია საბოლოოდ აბიტურიენტობის დროს ავირჩიე. პატარაობიდანვე მქონდა ამ განხრისადმი ინტერესი, თუმცა არავინ არ ჩარეულა ამ პროცესში, სრული თავისუფლება მქონდა და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ.

შენი გატაცება...

–მრავალი რამით ვარ გატაცებული, მაგალითად, მოყვარულის დონეზე ვუკრავ პიანინოზე. ზოგჯერ ვწერ მოთხრობებსა და ნოველებს. დაინტერესებული ვარ ფოტოგრაფიით და ვიტყვი იმასაც, რომ საკმაოდ საინტერესო და სახალისოცაა. ერთფეროვნება არ მიყვარს, ვცდილობ საკუთარი თავი ახალ-ახალ საკითხებში გამოვცადო და ვნახო ,თავს როგორ გავართმევ საინტერესო გამოწვევებს.

გარდა სწავლისა, რა გაბედნიერებს?

–მაბედნიერებს სწავლება. მიყვარს როცა ვინმეს რამეს ვასწავლი და ვუზიარებ გამოცდილებას. არასდროს არ მეზარება დახმარება და თუ ჩემი მითითებები ვინმეს კარგ შედეგებს მოუტანს, მაშინ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვარ ბედნიერი.

რისი მიღწევა გსურს?

–მინდა, რომ პიროვნულად დავიხვეწო და განვვითარდე.

ყველაზე ლამაზ ოცნებაში სად ხედავ შენს თავს?

–ზოგადად რეალისტი ადამიანი ვარ და არ მიყვარს ოცნებები. წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან არ ვიცით მომავალში რა იქნება და ამიტომაც ვიტყვი იმას, რომ ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

ცხოვრებაში შენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი რაა?

–ჯანმრთელობა. ამ სიტყვას ალეგორიულ მნიშვნელობას ვანიჭებ, ე.ი თუ ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი არ ხარ, რთულია აკეთო საქმე მშვიდად და წყნარად. ასევე „ჯანმრთელი“ და ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობები, გრძნობები და მიზნები არის ყოველგვარი წინსვლისა და წარმატების წინაპირობა.

როგორი გრძნობა დაგეუფლა, როცა ეკრანი გახსენი და შენი შედეგი დაა-ფიქსირე?

–ძალიან ბედნიერი ვიყავი, სიხარულისგან ვცეკვავდი.

ვის გაუზიარე პირველად შენი სიხარული?

–თავდაპირველად ჩემს ძმა ზაზას, ხოლო შემდეგ კი მშობლებს.

რა უნდა გაითვალისწინონ სკოლაში დარჩენილმა მეგობრებმა, რას ურჩევდით მათ?

–უნდა ირწმუნონ საკუთარი თავის და შესაძლებლობების, მაგრამ ზედმეტად თავდაჯერებულებიც ნუ იქნებიან, რადგან ეს დამღუპველია. როცა რამეს ვერ გაიგებენ დასვან კითხვები, მასწავლებლები იმიტომ არიან ჩვენს გვერდით, რომ დაგვეხმარონ სირთულეების გადალახვაში და ნუ გაუშვებენ ამ შანსს ხელიდან.

თავი არ დაზოგოთ მეგობრებო და ყველაფერს შეძლებთ.

რა გინდათ, უთხრათ მკითხველს?

–ნუ დაყოფთ ბავშვებს კარგ და ცუდ კატეგორიებად. ყველა ბავშვი არის ინდივიდუალური და განუმეორებელი, ყველას აქვს ნიჭის რაღაც მარცვალი და შეეცადეთ დაეხმაროთ ამ მარცვლის გაღვივებაში. იქნებ, შესანიშნავი ნაყოფიც გამოიღოს ამ ყოველივემ! თქვენ ქმნით გარემოს,სადაც იზრდებიან ბავშვები. უჩვენეთ მათ კარგი მაგალითები, გაეცით სითბო, სიყვარული, მაქსიმალურად დაეხმარეთ ახალგაზრდებს და შესაბამისად, სამომავლოდ ყველაფერი კარგად იქნება.

წარმატებები ქეთი. მე მჯერა, კიდევ ბევრჯერ გაახარებ და აალაპარაკებ ჩვენს საზოგადოებას შენი წარმატებებით.

ესაუბრა ლელა ალანია.

ინტერვიუ ხობელ, ახალგაზრდა მეზღვაურთან...

მიუხედავად იმისა, რომ ყველა პროფესია შრომას და სიყვარულს საჭიროებს, მეზღვაურობა, განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

არა აქვს მნიშვნელობა, თქვენ კაპიტანი ხართ, მექანიკოსი თუ მოტორისტი, გემზე ყველა საქმე და გადაწყვეტილება ერთნაირად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა.

მინდა გაგაცნოთ ხობელი ახალგაზრდა მეზღვაური, რომელიც თვეობით გემზეა.

29 წლის გიორგი გელას ძე ბუკია ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიბადა, დაამთავრა პირველი მაისის საჯარო სკოლა. სწავლა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში გემთწამყვანობის ფაკულტეტზე განაგრძო. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობს გემზე, მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში და მიწაზე უფრო ნაკლებ დროს ატარებს, ვიდრე ზღვაში.

ხობელი მეზღვაური

მოგესალმებით გიორგი, რატომ აირჩიე მეზღვაურის პროფესია? რა მოგწონდა მასში?

–მოგესალმებით, მომწონს მოგზაურობა, სხვადასხვა ქვეყნების ღირშესანიშნაობების დათვალიერება, კულინარია, ტრადიცია. მხიბლავდა უკიდეგანო ოკეანეში ცურვა, ჩემი პროფესია კი მაძლევს ამის საშუალებას. ასევე ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, მოგეხსენებათ, რომ ჩემი პროფესია მაღალანაზღაურებადია.

გაიხსენე პირველი გასვლა ზღვაში, როგორი შეგრძნებაა, როგორ მიგიღო ზღვამ?

–ზღვაში გასვლა პირველად გამიჭირდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პორტიდან გამოვედით და რამოდენიმე დღე ხმელეთი არ გვინახავს. საოცარი შეგრძნებაა, თითქოს გემზე ფეხი ხელახლა ავიდგი. თავიდან, რა თქმა უნდა, ძნელი იყო, რადგან მენატრებოდა მშობლები, ძმა, მეგობრები და ახლობლები.

საბედნიეროდ მალე შევეჩვიე, რადგან ეს პროფესია ჩემს სულში ზის და მომწონს. (როგორც იცით, ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუშაობენ გემზე, მაგრამ ეგ პროფესია თუ არ მოგწონს და ვერ ჩასწვდები მის არსს, მაშინ რთულია, რადგან ფსიქოლოგიურად ვერ გაძლებ ზღვაში. ამით განსხვავდება სამუშაო ზღვასა და ხმელეთს შორის.

როგორია მეზღვაურის ყოველდღიურობა?

–...როგორც ოჯახში, ერთად ვხვდებით მზის ჩასვლა-ამოსვლას, თვეების განმავლობაში განაგრძობ ყოველდღიურ ცხოვრებას ეკიპაჟის წევრებთან ერთად, რთულია სხვა ურთიერთობა ჩამოყალიბდეს, გარდა მსგავსად ოჯახისა.

რა არის შენი მოტივაცია ზღვაში და ხმელეთზე?

–როგორც დასაწყისში აღვნიშნე, სიყვარული პროფესიის მიმართ, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება.

შენი პროფესიის დადებით და უარყოფით მხარეებზე რას გვეტყოდი? რა სირთულეებთან არის დაკავშირებული?

–დადებითი ის არის, რომ ეცნობი და უფასოდ მოგზაურობ უამრავ ქვეყანაში, (ნამყოფი ვარ 40-მდე ქვეყანაში და 60 მდე ქალაქში) კარგი ანაზღაურება და უამრავ საინტერესო ადამიანთან შეხვედრა.

ყველა პროფესიას ახლავს სირთულე, მით უმეტეს მეზღვაურობას. უარყოფითი მხარე ის აქვს, რომ ოჯახს, ახლობლებს, მოწყვეტილი ხარ თვეობით. შტორმი, ნისლი, ჩაკეტილი სივრცე, გემის მწყობრიდან გამოსვლა შუა ზღვაში და ა. შ.

აქვს თუ არა მეზღვაურს შეცდომის დაშვების უფლება?

–მეზღვაურს არა აქვს შეცდომის დაშვების უფლება, ეს შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. გემზე თითოეულ ეკიპაჟის წევრს ერთმანეთის იმედი აქვს.

როგორ და რამდენი ხნით გიწევს ზღვაში გასვლა?

–ზღვაში ყოფნა მინიმუმ 6 თვით მიწევს გემზე იმდენი საქმეა, ხანდახან თვე ისე მალე გადის, ვერც ვიგებთ.

არ გიჭირს დიდი ხნით ზღვაში ყოფნა?

–უკვე არ მიჭირს, რადგან ზღვამ შეჩვევაიცის, შესაბამისად, მეც შევეჩვიე... როცა ზღვაში ხარ, ემოციები გვერდით უნდა გადადო და ცივი გონებით უნდა იმოქმედო.

გაიხსენე საინტერესო ისტორია, რომელიც გემზე ცხოვრებისას გადაგხდა...

–საინტერესოს ვერ დავარქმევ, მაგრამ დაუვიწყარია ის, რაც გადამხდა, გემი ჩაიძირა ჩემი გემზე ყოფნის დროს. ღმერთს მადლობა, ყველანი უვნებელი გადავრჩით

რა გენატრება ყველაზე მეტად ზღვაში ყოფნისას?

–ოჯახის წევრები, ჩემი კუთხე (ხობი), სადაც დავიბადე და გავიზარდე... როცა ჩამოვდივარ, ვცდილობ დიდი დრო ჩემს საყვარელ ადამიანებთან ერთად გავატარო და ამით მათი მონატრება ავინაზღაურო.

როგორია მშობლების დამოკიდებულება შენი პროფესიის მიმართ?

–არც ისეთი სახარბიელოა მშობლებისთვის, რადგან ოჯახისგან შორს ხარ და იციან, რომ დიდ რისკს მოიცავს შენი პროფესია.

რა როლი ითამაშა თქვენმა პროფესიამ მოქალაქეობრივ თვითშეგნებაზე?

–რა თქმა უნდა, სხვა თვალით დამანახა ხმელეთზე ცხოვრება. საზოგადოებისთვის სასარგებლო ელემენტის პოვნა ყველა პროფესიის წარმომადგენელში შეიძლება.

რა არის შენი მიზანი? ოცნება?

–მსურს გავხდე გემის კაპიტანი...

რას ურჩევდით ახალგაზრდებს, ვისაც სურს მეზღვაურის პროფესიას დაეუფლოს?

–სანამ საზღვაო პრაქტიკას დაეუფლებიან, კარგად შეისწავლონ თეორიული ნაწილი. ღმერთმა ყველა დაიფაროს უბედური შემთხვევისგან, მაგრამ ზღვაში ეს ყოველ წუთს მოსალოდნელია და მზად უნდა იყვნენ. ძირფესვიანი ცოდნით ადვილად შეძლებენ კრიტიკულ სიტუაციაში (გემის ჩაძირვა, აფეთქება, შეჯახება და. ა.შ), სწორი და სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას, რადგან გადაარჩინონ პირველ რიგში ეკიპაჟის წევრები და შემდეგ შეძლებისდაგვარად გემიც.

ვიცი, რომ ხობზე და ხობელებზე ხარ შეყვარებული, რას ეტყოდი მკითხველს?

–ხობი და ხობელები ძალიან მიყვარს. ვუსურვებ ყველას ჯანმრთელობას და დასახული მიზნების ასრულებას... საქართველოს ვუსურვებ სიმშვიდეს, მინდა, ხალხმა ამოისუნთქოს, შინაგანი სიმშვიდე მოგვეპოვებინოს და ყოველმა ჩვენგანმა გაითავისოს, რომ ცხოვრებაში მთავარი სიყვარული და ერთგულებაა.

...მართალია ადვილი არაა, მაგრამ არაფერია შეუძლებელი. მთავარია მონდომება და შრომა დასახული მიზნის მისაღწევად...

ესაუბრა ირინა ფილიპია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიის საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა მიმდინარეობს.

სკოლაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და საკრებულოს წევრი ფრიდონ შონია გაეცნენ.

ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე იქნება ადაპტირებული.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 46 389 ლარს შეადგენს.

სამშენებლო სამუშაოებს შპს „ჯორჯიან კონსტრაქშენ კომპანი“ აწარმოებს.

ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად ხორციელდება.

ახალი ხიბულის 1 და 2 საჯარო სკოლებში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია გაეცნო.

ახალი ხიბულის სკოლებში სველი წერტილების მოწყობაზე 84 000 ლარამდე დაიხარჯება.

ობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის და ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ამბულატორიების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სასოფლო ამბულატორიების რეაბილიტაციაზე 117239 ლარი დაიხარჯება და ადგილობრივ მოსახლეობას კომფორტულ გარემოში სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა ექნება.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ დაათვალიერა

ხობის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად ხორციელდება.

ხიბულაში, მდინარე ჭანისწყალზე ახალი ხიდის მშენებლობის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია გაეცნო.

ძველი ხიდი ამორტიზირებული იყო და რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა. ხიდის მშენებლობაზე 1 მილიონ 600 ათას ლარამდე დაიხარჯება და მოსახლეობას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება.

მშენებლობაზე 15 ადგილობრივია დასაქმებული.

ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 15340 ლარს შეადგენს.

პროექტის დასრულების შემდეგ გაიზრდება არხების გამტარიანობა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთები დატბორვისგან დაცული იქნება.

წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, ხობის მუნიციპალიტეტის 21 ადმინისტრაციულ ერთეულში, 784 ათასი ლარის ღირებულების 51 პროექტი განხორციელდება.

ხობის მუნიციპალიტეტის ახალი ხიბულისა და საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი 4-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია დასრულდა.

რეაბილიტირებული გზა ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ დაათვალიერა.

ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

გზის რეაბილიტაციაზე 1 მილიონ 492 ათასი ლარი დაიხარჯა.

პროექტის შესაბამისად დაიგო ცემენტ-ბეტონის საფარი, მოეწყო ეზოებში შესასვლელები და ხიდბოგირები.

მოსახლეობას კეთილმოწყობილ გზაზე უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაადგილების შესაძლებლობა აქვს.

მიმდინარე წელს გზის სრული რეაბილიტაცია ასევე განხორციელდა ზემო ქვალონში, ხოლო წინაგოლაში, კორცხოში, საჭოჭუოსა და საბაჟოში გზების კეთილმოწყობის პირველი ეტაპი დასრულდა.

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.

ნოჯიხევში მოსაცდელის მშენებლობის და საგვიჩიოს საჯარო სკოლაში სველი წერტილების რეაბილიტაციის პროცესს,ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა გაეცნო.

სველი წერტილების რეაბილიტაციაზე 32654 ლარი, ხოლო მოსაცდელის მშენებლობაზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან“ 11 640 ლარი დაიხარჯება.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

არხის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა გაეცნო.

პროექტის მიხედვით მოეწყობა ხიდ-ბოგირი და რკინაბეტონის სანიაღვრე არხი.

ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 41167 ლარს შეადგენს.

ხობის მუნიციპალიტეტის ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია დასრულდა.

რეაბილიტირებული გზა ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად დაათვალიერა.

სარეაბილიტაციო გზა მთლიანად ამორტიზებული იყო, რაც ხელს უშლიდა როგორც ტრანსპორტის, ასევე ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და თავისუფალ გადაადგილებას. 4.4-კილომეტრიანი გზის მშენებლობაზე 1 მილიონ 425 ათას ლარამდე დაიხარჯა და სოფლის მოსახლეობას კეთილმოწყობილი გზით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს.

ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

„ჯობას“ საკვირაო სკოლა და საინტერესო აქტივობები

მოხალისედ მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილების შემდეგ, პროფესიით ჟურნალისტმა ლევან ჯობავამ, მეგობრებისთვის „ჯობამ“, რომელსაც ამ სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი სტაჟიც აქვს, ხობში, დაკეტილი მამისეული სახლი გააღო, თავისი ერთგული, ოთხფეხა მეგობრები ჩაიყვანა და დიდ იდეებს შეეჭიდა... იდეები კი მართლაც დროულია და საჭირო–მოზარდებში საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება, პრიორიტეტების სწორად დალაგება და მათთვის საინტერესო თემებზე პროფესიონალებთან საუბარი, ოღონდ გასაგები ენით.

ჰოდა, ხობის ცენტრში დაკეტილი სახლი გააღო, შიგნით თუ გარეთ გააფერადა, საკვირაო სკოლად გადააკეთა, ერთ დიდ და ხმაურიან ახალგაზრდულ სივრცედ აქცია, სადაც ყველა ინტერესის ადამიანი პოულობს თავს.

ამ ყველაფერს ფინანსები სჭირდებოდა, ამიტომ წლების წინ დაგროვილი ოქროს გამოცდილება და ნდობა მოიშველია, სოციალურ ქსელში თავისი პროექტის შესახებ დაწერა და „ფეისბუკ“-ჩარიცხვებმაც აღარ დააყოვნა. ზოგი მეგობრებისგან იყო, ზოგიც–სრულიად უცნობი ადამიანებისგან, რომელთაც რეგიონის გაცოცხლების იდეა მოეწონათ. ენთუზიაზმზე დაწყებულ ხობის „საკვირაო სკოლას“ რამდენიმე თვეში 50-ზე მეტი წევრი შეუერთდა და არაერთი კარგი პროექტიც განახორციელეს.

დაკეტილი სახლი, რომელიც ახალგაზრდულ სივრცედ იქცა

ლევან ჯობავა, „ხობის საკვირაო სკოლის“ დამფუძნებელი:

–2005 წლიდან, სხვადასხვა არხზე ჟურნალისტად ვიმუშავე... ამასთან, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მოხალისეობრივ პროექტებში მუშაობის გამოცდილება მქონდა, მათ შორის არის „თაჩრაგბი“ და „რაგბი აქაურობას“. წლებია, სპორტის ამ სახეობით ვარ გატაცებული და ჩემი ცხოვრების წესიც გახდა. ასევე, ვაწყობდი დაღუპული და დაჭრილი სამხედროების შვილების შეკრებებს, ვმუშაობდი რაგბის კლუბ „სოხუმში“, სადაც აფხაზეთიდან დევნილი და ზუგდიდში მცხოვრები მოზარდები თამაშობდნენ... 2018 წელს ჯერ მამა გარდაიცვალა, ძალიან მალე ბაბუაც და ჩემი ბავშვობის სახლი დაიკეტა... 2019 წლიდან მინდოდა „საკვირაო სკოლა“ გამეკეთებინა, სადაც ბავშვებთან ერთად ვიმუშავებდი და მათთვის საჭირო უნარების გამომუშავებაზე ვიქნებოდი ორიენტირებული, ამისთვის კი დიდი სივრცე მჭირდებოდა.

დავიანგარიშე ყველაფერი და სოციალურ ქსელში დავწერე,–ასეთ პროექტს ვიწყებ, რისთვისაც პირველ ეტაპზე ტექნიკა მჭირდება და ერთ-ერთ კომპანიაში ამ ყველაფერს ამდენი თანხა სჭირდება-მეთქი... ეს იყო ენთუზიაზმი, თუმცა მჯეროდა, რომ გამომივიდოდა და ასეც მოხდა... ისე კი, თავიდან ხობში გაჩნდა კითხვები,–საიდან აქვს ამ კაცს ამდენი ფული? არადა, ყველა თეორი, რომლითაც ამ რამდენიმე თვის განმავლობაში რაღაც გავაკეთეთ, დღემდე „ფეისბუკ“-ჩარიცხვების და ჩვენი აქტივობების დამსახურებაა. ჰოდა, რადგანაც გვენდობიან, ნებისმიერ საქმეზე ჩვენს გულშემატკივრებს, ანგარიშს ვიდეომასალით ვუყვებით.

ერთი სიტყვით, ხობში ყოველ შაბათ-კვირას, ხან მარტო, ხანაც მეგობრებთან ერთად ჩავდიოდი და იმ დაკეტილ სახლს თანდათან ვაცოცხლებდით. გეგმაში მქონდა, რომ აპრილისთვის საკვირაო სკოლაში პირველი ჯგუფი მიგვეღო, თუმცა, მსოფლიოში პანდემიის გამოცხადების შემდეგ, ყველაფერი აირია და შესაბამისად, ჩვენც რაღაცები შეგვეცვალა, ტექნიკის ყიდვა გადავიფიქრეთ, მაგრამ თანხისთვის ხელი არ გვიხლია.

კარანტინის გამოცხადების შემდეგ, ოთხ კედელში ვეღარ გავჩერდებოდი და ხობში ჩამოვედი. აქედან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ჩემმა მეგობრებმა და მეგობარმა ორგანიზაციებმა გვაჩუქეს ყველა საჭირო ტექნიკა: კომპიუტერი, პროცესორები, პროექტორის ეკრანი, პრინტერი... ანუ უკვე შეგვეძლო, ეს თანხა სხვა რამეში გამოგვეყენებინა. რეგულაციების შემსუბუქების შემდეგ, ერთბაშად 6 ბავშვი შემოგვიერთდა, ანუ პირველი მერცხლები მივიღეთ და 10 დღეში უკვე 16 გავხდით... უკვე შეიკრა მოზარდების გუნდი და ვკითხე, ანგარიშზე გვაქვს გარკვეული თანხა და რაში დახარჯავდით-მეთქი? საკმაოდ ძვირადღირებული და მრავალფეროვანი პროექტი დაწერეს. წავედი თბილისში და სხვადასხვა ნივთთან ერთად, დინამიკები, დაფები და წამახალისებელი პრიზები ჩამოვიტანეთ. თუმცა, თანხა კიდევ გვჭირდებოდა. დავგეგმეთ რამდენიმე სხვადასხვა შინაარსის ღონისძიება.

ღონისძიებები რას მოიცავდა?

–ბევრ რამეს, მათ შორის სპორტულ აქტივობებს, რაგბისა და კალათბურთის რეგიონალურ შეჯიბრებას; მაგალითად, ხობში დავიწყეთ 12 წლამდე მოზარდებისთვის ვარჯიშები უკონტაქტო რაგბიში, შემდეგ ასაკი გავზარდეთ... შეხვედრა გვქონდა ზუგდიდიდან ჩამოსულ რაგბის გუნდთან. ენდოკრინოლოგმა ჩაგვიტარა საინტერესო სემინარი სწორ კვებაზე; გავმართეთ შეჯიბრება კალათბურთში, სადაც 16 გუნდი დარეგისტრირდა, მსაჯი თბილისიდან მოვიწვიეთ და გამარჯვებულები, თავდაუზოგავი შრომისა და სტიმულისთვის, საკმაოდ კარგი საჩუქრებით დავაჯილდოეთ. ხობში გვესტუმრა საქართველოს საავტომობილო სპორტის ვიცე-პრეზიდენტი და მრბოლელი მევლუდ მელაძე, რომელმაც საინტერესო ილეთები გვაჩვენა. მოვაწყვეთ ფლიმარკეტი, სადაც ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა არაერთი საინტერესო ნივთი გაყიდეს და დაახლოებით 200-ლარიანი მოგებაც ვნახეთ. შემდეგ მოვაწყვეთ ველოტური, რომლის ფარგლებშიც, სოფელ ხეთაში დავასუფთავეთ პაპანწყურის ტერიტორია, გამოვკვებეთ მიუსაფარი ძაღლები. გარდა ამისა, ჩამოვაყალიბეთ 5 გუნდი და ჩავატარეთ ინტელექტუალური თამაში. წამყვანები და კითხვების ავტორები თბილისიდან, ასევე ინტელექტკლუბ „რა, სად, როდის“ მოთამაშეები გვესტუმრნენ... ეს ყველაფერი, რაც ჩამოვთვალე, ერთი თვის განმავლობაში მოვასწარით და სანდობისთვის, ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჩვენს ანგარიშზე თუნდაც ლარი ჩაურიცხავს, ვიდეოში ვუყვებოდით. ეს ჩემი პასუხისმგებლობა იყო, რომელსაც ყველა მათგანის წინაშე ვგრძნობდი.

ვიცი, რომ ტემპის დაგდებას არც სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ აპირებთ.

–დიახ, სასწავლო წლის დაწყების კვალდაკვალ, ვაპირებთ საკვირაო სკოლაში მკითხველთა კლუბი, ასევე, მუსიკალური, კინო, სპორტული კლუბები გავხსნათ, სადაც მოზრდები ინტერესების მიხედვით გადანაწილდებიან... საბედნიეროდ, დაინტერესება მართლაც ყოველდღიურად იზრდება, საკვირაო სკოლაში 50-მდე მოზარდი გვყავს და თითოეული იდეებით არის დახუნძლული. ამას ემატება ჩემი მეგობრების აქტიურობაც. ამ რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთმა წიგნები დაგვიტოვა. მოვაწყვეთ „ფასტ ფუდ“ ფართი, ბავშვებმა თავად მოამზადეს და გაყიდეს პიცები, ჰოთდოგები, სენდვიჩები, კომპოტი. გვქონდა ბარი, სადაც სრულწლოვნებისთვის ალკოჰოლიანი სასმელიც გაიყიდა -

ამ ყველაფრის ორგანიზება, დაგეგმვა, მომარაგება და განხორციელება, ჩემი მცირედი დახმარებით, თავად შეძლეს.

გვაქვს მუსიკალური ნომრებიც, ანუ მოზარდები იმ სიმღერებს ასრულებენ, რისი შესრულებაც ჩვენს პირობებშია შესაძლებელი... რუტინა არასდროს გვაქვს, ყველა დღე მრავალფეროვანია, შემეცნებითი, სპორტული, ინტელექტუალური.

სკოლა მხოლოდ შაბათ-კვირას ფუნქციონირებს?

–არა, სახლი ყოველთვის ღიაა. როდესაც ესა თუ ის ლექცია ტარდება და მოსწავლისთვის საინტერესოა, მოუსმენს, თუ არა და, შეუძლია ეზოში ითამაშოს. თუმცა, როდესაც სკოლა აკეთებს ღონისძიებას, ყველა წევრი ვალდებულია, ეხმარებოდეს თანაგუნდელებს, რადგან სკოლა ეხმარება მას... ზოგი კვირაში ერთხელ მოდის, ზოგი სამჯერ, ზოგიც ყოველდღე იქ არის... შეზღუდული არაფერია, თუმცა, თავისუფლება ჩემთვის ამავდროულად ნიშნავს წესების პატივისცემას, მის გარეშე ქაოსს მივიღებთ. ასევე აუცილებელია დისციპლინაც.

რა არის „საკვირაო სკოლის“ იდეა?

–მოზარდებს დავეხმაროთ ინტერესების განვითარებაში, რომ გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები, რაც ცხოვრებაში გამოადგებათ, არ ჰქონდეთ კომპეტენციებსა და ღირებულებებში აცდენა, სწორად განსაზღვრონ პრიორიტეტები... ისინი უნდა გრძნობდნენ, რომ ეს მათი ქვეყანაა და მასზე ზრუნვა მათივე პასუხისმგებლობაა.

რა აინტერესებთ მოზარდებს?

–მათი ძირითადი ინტერესის გამოკვეთა გამიჭირდება, რადგან ჭრელი გუნდი გვყავს–10-დან 17 წლამდე და ყველას სხვადასხვა ინტერესი აქვთ. ვსაუბრობთ მტკივნეულ და აქტუალურ თემებზე, ოკუპაციაზე, ჰუმანიზმზე, ტოლერანტობაზე, ოჯახსა თუ გარეთ ძალადობაზე, ჩაგვრაზე... ამასთან, ზოგს სპორტი მოსწონს, ზოგს აიტი სპეციალობა ან სულაც, ვიდეოგადაღება, ჟურნალისტიკა, მუსიკა... ვცდილობთ, ყველა მათგანს კომპეტენტურ და პრაქტიკოს ადამიანთან ჰქონდეს კომუნიკაციის საშუალება, რომელიც საინტერესო რჩევებს მისცემს და მცირე ლექციას ჩაუტარებს... მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, სკოლის რამდენიმე წევრი მაჩხომერში არქეოლოგებს ესტუმრა. მათ აუხსნეს მუშაობის წესები, ჩაახედეს ისტორიაში, უამბეს უამრავი რამ. ბავშვებმაც ძალიან საინტერესო კითხვები დასვეს. სანამ თქვენ ინტერვიუსთვის დამირეკავდით, მე და 30-მდე მოსწავლე წავედით ფოთში, ზღვის ნაპირზე რაგბი ვითამაშეთ და შემდეგ ვიცურავეთ.

ლალი პაპასკირი

გამოსათხოვარი

ნუგზარ ნადარაია

გარდაიცვალა ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ხობის რაიკომის მდივანი 1975-86 წლებში, ნუგზარ ნადარაია. ადამიანი, რომელმაც სიცოცხლეშივე დამსახურებულად მოიპოვა აღიარება, პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული ხალხისგან.

მისი მოღვაწეობის მასშტაბები მოიცავს სრულიად საქართველოს და მნიშვნელოვანი შენაძენია ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობასა და განვითარებაში.

ბატონი ნუგზარი სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნიკის სამმართველოს უფროსად, საგეგმო-ეკონომიკური მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, ხობის რაიკომის პირველ მდივნად 1995-86 წ.წ. აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად 1986-95 წ.წ. იყო ორი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, ქალაქ ფოთის მერი, ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და ბოიგრაფიული წიგნების, დაჯილდოვებულია შრომის წითელი და ხალხთა მეგობრობის ორდენებით, ცოტნე დადიანისა და გიორგი ჭყონდიდელის, ქვეყნის, ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის, იყო ფაზისის ეპარქიის საეკლესიო საბჭოს წევრი. საპატრიარქოს წარმომადგენელი, გაზეთების–„ფაზისი“, „ნიკოლაძის გზით“, „დიოსკურია“, „აფხაზეთის ხმა“ სარედაქციო საბჭოების წევრი.

არჩეული იყო საფრანგეთის ქალაქ აგდეს, ბულგარეთის ქალაქ ვარნას, უკრაინის ქალაქ გოროხოვოს, ლიტვის ქალაქ კრეტინგას, ხობის, იყალთოს, ჩარგალის, მარტვილისა და ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქედ.

განსაკუთრებულია ბატონი ნუგზარის ღვაწლი ხობის მუნიციპალიტეტის აღმშენაბლობასა და განვითარებაში, ეკონომიკური და სულიერი აღმავლობის საქმეში, მისი ძალისხმევით, ხელმძღვანელობის განსაკუთრებული უნარით, პრინციპულობითა და ხობელებთან ერთად დაუღლელი შრომით, მივიღეთ თანამედროვე ქალაქი, ადმინისტრაციული შენობებით, სკვერებით და ხეივნებით, საკავშირო მასშტაბის სპორტული კომპლექსებით, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებით, დაუვიწყარი სახალხო დღესასწაულებით... ყოველივე ამის და სხვა მნიშვნელოვანი სიკეთეების გამო, მადლიერი საზოგადოება, სამართლიანად მოიხსენიებს „ხობის აღმაშენებლად“, ბატონ ნუგზარის, რომელსაც არასდროს არ გაუწყვეტია კავშირი და ურთიერთობა ხობთან, სიცოცხლის ბოლომდე ჩვეული ენერგიითა აქტიურობით ეწეოდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობას. მან დააფუძნა ფაზისის საერო აკადემია და საზოგადოებრივი მოძრაობა „ჭყონდიდელ-ცოტნეიდელი“, რომელთა საქმიანობით უდიდესი წვლილი შეჰქონდა კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ფასეულობების დაცვაში, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბატონ ნუგზარის დარჩა განუხორციელებელი სურვილები. რომელიც გაახმოვანა თავის ბოლო ინტერვიუში.

„ხობში დამადგმევინა კოლხეთისათვის თავშეწირული გუბაზ მეფის ძეგლი... ჩამატარებინა მამულიშვილების პატივისგების სახალხო დღესასწაულები“... ამავე ინტერვიუში, თითქოს გულმა უგრძნო და ლოცვად დაგვიტოვა ბოლო სურვილი: „დაე, ქვეყანას და ქართველ ხალხს აღაფრთოვანებდეს, რაზმავდეს და სამოქმედოდ განაწყობდეს მაღალი ზნეობა, უფლის სიყვარული და დამსახურებული მადლი“...

ღმერთმა გისმინოთ ბატონო ნუგზარ და დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი... მუდამ დარჩება მადლიერი ხობელების ხსოვნაში ნუგზარ ნადარაიას სახელისადმი პატივისცემა და დამსახურებული სიყვარული.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო.

„დიდი კაცი“ იყო

ბატონი ნუგზარ ნადარაია გამოგვეთხოვა. განგებამ ასე ინება. ღვთის მოშიში კაცი გაეცალა წუთისოფელს, საგზლად დიდი სიყვარული, პატივისცემა, ცრემლი და სინანული გაიყოლა.

ხობის რაიონის ხელმძღვანელობის დიდი ტვირთი მხრებზე სულ 35 წლისამ შეიმსუბუქა და 11 წელიწადი ღირსეულად ატარა...

სასურველი ხელმძღვანელი რაიონში გამორჩეული პასუხისმგებლობის ადამიანთა სათავეში მოექცა, რაიონი კი რეგიონში გამორჩეული გახადა.

ყველას ვერ გავიხსენებთ, მაგრამ ვიტყვი, რაიონების დაძმობილება, კულტურული ღონისძიებები, მშენებლობები, საკავშირო საცურაო აუზი, მუზეუმები, თეატრონი და შინმოუსვლელის სახლი ხეთაში... არაფერს ვამბობ იქ ჩატარებულ კონცერტებსა და სპექტაკლებზე, ხობი შეაჩვია თეატრისა და კინოს ვარსკვლავების სტუმრობას. სიხარულით ამზევებული იყო, როცა მოხუცებსა და ხანდაზმულებს უამრავ მაყურებელთა შორის ხედავდა. მისი ხელმძღვანელობით მშენებარე დღევანდელი კულტურის სახლის (და არა მარტო) მშენებლობაში ფიზიკურადაც კი მონაწილეობდა... სულნათელ გენო ტორჩინავასთან ერთად გვიან ღამით ტოვებდა მშენებლებს და მშენებლობას.

მახვილი გონება და ხედვა ჰქონდა, უგულოდ გაკეთებულ საქმეს ვერ იტანდა, ისევე როგორც შექება და მოფერება, სიბრაზეც უჩვეულო იცოდა, ღალატს ქვეყნის დაქცევად მიიჩნევდა და არავის პატიობდა...

კაბინეტის კაცი არ იყო, ყველაფერი თავად უნდა ეკონტროლებინა და თათბირებს ღამე მართავდა. მის სამუშაო კაბინეტში შუქი ყველაზე გვიან ქრებოდა.

„ცოტნეობის“ დღესასწაული მისი მოღვაწეობის დროს დაწესდა. ამით დიდი ღვაწლი დასდო სამშობლოსთვის თავდადებულთა დიდებასა და ხსოვნას. თუმცა მისი ბოლო დადებული პირობა, ხობისწყლის სანაპიროზე გუბაზ მეფის ძეგლის დადგმის სურვილი თან გაიყოლა, თითქოს მოფიქრებულად დაუტოვაო გამოსაცდელად ერთადერთ ვაჟიშვილს. საფლავის კიდეზე მდგარმა ვაჟმა, ღირსეულმა შვილმა, ჩუმი სევდისა და ტკივილის გასაქრობად, ეს დარდიც არ გააყოლა და მამის უკანასკნელი სურვილის ასრულება თავად იტვირთა...

ძალიან უყვარდა ახალგაზრდებთან ურთიერთობა, ამიტომაც მან ხობში ახალგაზრდების გუნდი შექმნა. მჯერა, რომ მისი ხსოვნა ძალიან დიდხანს დარჩება... უკეთესს რას ინატრებს ადამიანი.

მისი ყოველი ნაბიჯი იყო ღირსეული და კაცური, მამულიშვილური ერთი და ერთნაირი, სადაც კი უმუშავნია–დედაქალაქში თუ მშობლიურ ფოთში...

ბრძენთაგან თქმულა, ადამიანის სიცოცხლე სიკვდილისთვის მზადებაოო. ამ სამზადისის უსასრულობა მისი დაკრძალვის დღეს წარმოჩინდა... ქაშუეთის ეკლესიის ეზო და შემოგარენი ხალხით იყო გადაჭედილი და ცას წვდებოდა მათი ვედრება–„უფალო ნათელი დაუმკვიდრე...“

ხობის საპატიო მოქალაქედ არჩევისას ცრემლმორეული გამოთქვამდა მადლიერებას ხობელების მიმართ და მის გულწრფელობაში ეჭვი არავის შეპარვია. ეს იყო გვირგვინი იმ სიყვარულისა, რომელიც დაიმსახურა...

ნუგზარ ნადარაია დაბადებული იყო სხვის შემწედ, ქომაგად, ობოლთა იმედად და ფარად. ერთი სიტყვით, ბატონი ნუგზარი „დიდი კაცი იყო“.

სანთელ-საკმეველი ყოველთვის იქნება მისი სულისთვის გზის მანათობელი. მან დატოვა სამართლიანი, გულმართალი და გულმზიანი კაცის სახელი, მისი ცხოვრების კრედო იყო–აკეთე სიკეთე და იყავი გულმოწყალე...

რატომღაც საფლავიდან შინ დაბრუნებული ვიმეორებდი–მაკედონელის საფლავზე დაწერილ ეპიტაფიას „ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, ვისაც არ ჰყოფნიდა სამყარო“.

ნათელში ამყოფოს უფალმა.

ანგული მიქავა.

გამორჩეული „ცოტნეიდელი“

სექტემბრის სამშაბათი ხობელებისთვის ძალზე ტკივილიანი გამოდგა... ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო ბატონ **ნუგზარ ნადარაიას** გარდაცვალების ამბავი. დიდმა მწუხარებამ დაისადგურა ირგვლივ, რადგან ნამდვილად მოულოდნელი იყო ყველასთვის ჯანღონით სავსე, ენერგიული, აქტიური და დაუზარელი ადამიანის მოულოდნელი წასვლა წუთისოფლიდან.

ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ, სრულიად ახალგაზრდამ ჩაიბარა ხობის რაიონის თავკაცობა, ჩაიბარა და... გარკვეული წლები ერთგულად ემსახურა დაკისრებულ მოვალეობას. ალბათ იშვიათად თუ მოიძებნება კაცი საქართველოში, რომელიც ასეთი მზრუნველი ყოფილიყოს თავისი ქვეყანისა და ხალხის მომავლისთვის. ბატონი ნუგზარი იყო საქმის კაცი და სიცოცხლის ბოლომდე ასეთად დარჩა.

არ ვიცი ვინ თქვა პირველად, მაგრამ დიდებულად უთქვამს, ნუგზარ ნადარაია ხობის „აღმაშენებელიაო“.

დიახ, ხობის აღმშენებლობა მის სახელს უკავშირდება... ამას დღესაც იმეორებენ, მისი ყოფილი კოლეგები, თანაგუნდელები და ხობელები. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ რამდენიმეს აღვნიშნავ: სპორტული კომპლექსი, კულტურის სახლი, კინოთეატრი, ბადრი და პიერ კობახიძეების მუზეუმი და ბევრი სხვა... იგი იყო სახალხო-საერო დღესასწაულ „ცოტნეობის“ დამაარსებელი და სულისჩამდგმელი.

ბატონი ნუგზარი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული საქართველოში მიმდინარე პროცესებში, როგორც „ფაზისის აკადემიის“ პრეზიდენტი ბევრი საშვილიშვილო საქმის ინიციატორი და განმხორციელებელი გახლდათ.

დასანანია, რომ ასე უცაბედად წავიდა წუთისოფლიდან. სრულიად საქართველოში მარადის დარჩება მისი სახელი და საქმენი კეთილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული. ჩვენ კი კიდევ ერთხელ გეფერებით და გიხდით მადლობას ყველაფრისთვის.

ბეჟან ნადარაია.

საქართველოს დააკლდა უდიდესი პატრიოტი, თავის ერზე უზომოდ შეყვარებული, ქვეყნის მოამაგე, ხობის „აღმაშენებელი“, ნამდვილი კოლხი ვაჟკაცი, დიდი „ცოტნეიდელი“ ბატონი ნუგზარ ნადარაია.

ბატონ ნუგზარს ქვეყნისთვის კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ვერ მოასწრო, თუმცა იგი ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წავიდა.

ვუსამძიმრებთ ბატონ ნუგზარის ოჯახს, ქალბატონ მანანა ქორიძეს, შვილს ოთარ ნადარაიას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული

გიგლა კვიკვინია

„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის ხობელი აკადემიკოსების სახელით.

გარდაიცვალა ნადარაიების საგვარეულოს კავშირის თავმჯდომარე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, თხემით ტერფამდე ქართველი, ბრწყინვალე ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ხობში მრავალი საეკლესიო და საერო დღესასწაულების მოთავე, ძმობისა და ერთობის სულის ჩამდგმელი. სასიამოვნოა, მან ისე იცხოვრა, რომ სიცოცხლეშივე შეძლო „სულიერი სრულყოფის კიბეზე ამაღლება“.

ხობელი ნადარაიების საგვარეულო კავშირის წარმომადგენლები ღრმა მწუხარებით ვეთხოვებით ჩვენი გვარის საამაყო ადამიანს ბატონ **ნუგზარ ნადარაიას** და ვუთანაგრძნობთ მის დიდებულ ოჯახს და სასახელო შთამომავლობას.

ნუგზარ ნადარაია,

ხობის საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე.

10 სექტემბერი—ენერგეტიკოსის დღე!

გავლილი ცხოვრების გადასახედიდან

ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა გავლილი გზის სიხარული, სინანული, შიში და ახალგაზრდობის მონატრება ერთმანეთს ენაცვლება.

ეს ის ასაკია, როცა ვალმოხდილს სიკეთისა და პატიოსნებისთვის მადლობას გიხდიან და დამსახურებულ პენსიაზე გაცილებენ...

ასეთ ასაკში, ალბათ, უჩვეულო გრძნობა ეუფლებათ ადამიანებს, რადგან მომავალზე მეტად წარსულს ავლებენ თვალს და სახელოვნად გავლილ გზას უფრთხილდებიან...

არჩილ (აჩიკო) შამუგია... იშვიათად თუ მოიძებნება მისი სადარი კაცი—გამორჩეული სინდისით, კაცობით, პატიოსნებით. იგი ნაცნობ—მეგობრებისთვის, ზოგადად ხობელი საზოგადოებისთვის სასურველი თანამოქალაქეა, სასიამოვნოდ მოუბარი...

ამასწინათ ბატონ აჩიკოს ვესაუბრე. როცა მის მიერ ცხოვრებისეულ გზებზე დავინტერესდი, მისი ბიოგრაფიის შესახებ მითხრა:

—უკვე 78 წლის გავხდი, სოფელ ქარიატაში დავიბადე და გავიზარდე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში ინჟინერ ელექტრიკოსის კვალიფიკაციის მიღების შემდეგ სხვადასხვა დროს ვმუშაობდი ფოთის ელექტროსამონტაჟო უბანში—სამუშაოთა მწარმოებლად, ხობის ელექტროქსელის უფროსად. ხობის საკოლმეურნეო... ხობის საკოლმშენში, ჯერ თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ საშენ-მასალათა საწარმოს დირექტორად. მელიორაციის სისტემაში ტრესტის მთავარ ენერგეტიკოსად.

1989-93 წლებში ვმუშაობდი ახლადშექმნილ საწარმოს „აგრომრეწვენერგოს“ დირექტორად. აღნიშნული საწარმოს ლიკვიდაციის შემდეგ კვლავ გადამიყვანეს ხობის ელექტროქსელის უფროსად.

„საქენერგოს“ სტრუქტურული რეორგანიზაციის შემდეგ დავინიშნე ხობის ენერგოკომპანიის დირექტორად. 2007 წლიდან დამსახურებულ პენსიაზე ვიმყოფები.

ბატონი აჩიკო დიდი ოჯახის მამამთავარია. მეუღლე ნარგიზა დარსალია სწავლული აგრონომია. მათ ორი ქალიშვილი მაია და ეკა ჰყავთ. მაია პროფესიით ექიმია ის პირველ მაისში ოჯახის ექიმად მუშაობს. ეკა კი ეკონომისტია, ის თბილისში ცხოვრობს და მუშაობს. 10 სექტემბერი ენერგეტიკოსების დღეა. ორმაგად ბედნიერი შეხვდა ბატონი აჩიკო პაროფესიულ დღესასწაულს, რადგან მისმა შვილიშვილმა, პირველი მაისის საჯარო სკოლის მოსწავლე ნიკა ბუკიამ ონლაინ კონფერენციაზე „უკეთესი განათლებისთვის“ მიიღო მონაწილეობა და თემით „სამყაროს შექმნის ბიბლიური და მეცნიერული თეორიები“—გაიმარჯვა და ათასლარიანი, ხოლო პედაგოგი ნინელი ხუხია 200 ლარიანი ვაუჩერით, დაჯილდოვდნენ.

ჭადრაკში სამეგრელოს რეგიონის პრიზიორი შვილიშვილის წარმატება ბაბუას უდიდესი სიხარული და სიამაყეა, უფალმა უმრავლოს ქვეყანას ასეთი ახალგაზრდები. სიამოვნებით ვუერთდები ამ სიხარულს.

შვილიშვილები საბა, ნიკა, დავითი, გიორგი, თამარი ახარებენ და უხალისებენ ცხოვრებას, თავად კი ქალაქის საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს, მოწიწებას და სიყვარულს იმსახურებს.

ისღა დამრჩენია, დიდი ხნის სიცოცხლე, ბედნიერება და ჯანმრთელობა ვუსურვო ამაგდარ ადამიანს, რომელმაც თავისი ცხოვრებით კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა, როგორია სუფთა სათავიდან მომდინარე ცხოვრება.

მერი ლაგვილავა.

ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის თასის გათამაშება

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვალონში ხობის „კოლხეთი-2“-ის ახალგაზრდა ფეხბურთელის, ტრაგიკულად დაღუპული ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის თასის გათამაშება დასრულდა.

ტურნირში რეგიონის 6 გუნდი მონაწილეობდა, ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს ხობის „კოლხეთი“ და ნუტის მეგობრები დაუპირისპირდნენ. სადაც გამარჯვება 4:2 გუნდმა “ნუტის მეგობრები” მოიპოვა და შესაბამისად ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის თასის მფლობელი გახდა.

სპორტული ღონისძიების დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან ლატარია, ნუტის ოჯახის წევრები, მეგობრები და მოწვეული სტუმრები. სპორტული ღონისძიება სამეგრელო-ზემო სვანეთის ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით გაიმართა.

ვულოცავთ!

მერი აბრამიას!

გაზეთ „ხობის მოამბის“ თანამშრომლები გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს ხობის საპატიო მოქალაქეს, დიდებულ ქალბატონს, ამაგდარ პიროვნებას, მერი აბრამიას.

ჩვენო მშვენიერო, უბერებელო, ზეგანათლებულო, ნიჭიერო მოკალმევ, ყველა ჩვენგანისთვის საყვარელო უფროსო მეგობარო. იხარეთ, იდღეგრძელეთ თქვენს ლამაზ და მშვენიერ მონაგართან ერთად. გვენატრები, გვიყვარხარ, გეფერებით.

უღალატო მეგობარი



სახელოვან მეცნიერს, ამაგდარ პედაგოგს, პროფესორ **გურამ კვიკვინიას** დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ბატონ გურამისთან ნახევარი საუკუნის მეგობრობა მაკავშირებს. ის დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში, სტუდენტ-ახალგაზრდობაში. მისი გამორჩეული ღირებულებებია,—ზრდილობა, კეთილშობილება და საერთოდ სულიერ და ეროვნულ ფასეულობათა ერთგულება, მომავალი თაობებისთვის სანიმუშო და მისაბაძია. წარმოიდგინეთ, როგორი ბედნიერებაა, როცა ასეთი ადამიანი შენს გვერდითაა და მას შენი თანაკლასელი ჰქვია.

გურამ კვიკვინიას სახით სრულიად საქართველოს ყავს ერთ-ერთი საუკეთესო შვილი, საუკეთესო თვისებებით გამორჩეული ადამიანი, რაფინირებული კულტურით დაჯილდოებული მამულიშვილი. პირად ცხოვრებაში გახლავთ თავანკარა წყაროსავით სუფთა. როგორც იტყვიან, ცისა და ქვეყნის წინაშე უცოდველი.

საზოგადოებრივი ცხოვრების წესისა და მორალური კრიტერიუმების ზუსტი დაცვა მისი ცხოვრების ამოსავალი წერტილია. მსგავსი ადამიანები იშვიათად ევლინებიან ქვეყანას. ვაჟას თქმისა არ იყოს „თქვენებრ რჩეულებს ათასში ერთხელ ზეცა უგზავნის მიწას იმედად“.

სახელოვან მეცნიერს, მრავალი თაობის აღმზრდელსა და მასწავლებელთა მასწავლებელს,

შესანიშნავ მოქალაქესა და უფროს მეგობარს ბატონ გურამ კვიკვინიას გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ-ახალ წარმატებებს პირად ცხოვრებაში. უფალმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს.

თანაკლასელთა სახელით

საშა არჩაია.

ჩვენო გურამ! უდიდესი პატივისცემით გილოცავთ იუბილეს, როგორც ჩვენი გაზეთის გულშემატკივარს, მკითხველს და ავტორს. იყავით მზეგრძელი და ჯანმრთელი თქვენი ახლობლებისა და მეგობრების გულგასახარად.

გაზეთი „ხობის მოამბე“.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ნინო სიჭინავა, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.